პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 233 (20579) ✦ ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

დანაკარგების შემცირება სურსათ-სანოვაგის ზრდის მოკლე გზაა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგრარული პოლიტიკის საკითხთა კომისიაში

გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგრარული პოლიტიკის საკითხთა კომისიის სხდომა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. კ. ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით განიხილეს სამინისტროებისა და უწყებების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კვების და სხვა საწარმოთა ხელმძღვანელების ორგანიზატორული მუშაობა წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების პროცესში სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგების აღმოსაფხვრელად. განიხილეს აგრეთვე მოარენდეებისათვის, საოჯახო და გლეხთა მეურნეობებისათვის საჭირო მცირეგაბარიტიანი ტექნიკის გამოშვების ზრდის ღონისძიებანი.

ამ პრობლემებმა ახლა განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა. კომისიის წევრების მიერ, რომლებიც გაემგზავრნენ ადგილებზე, საქმის მდგომარეობის შესწავლა ადასტურებს, რამდენად საჭიროა არა ეპიზოდურად, არამედ თანამიმდევრულად და მტკიცედ მივაღწიოთ მათ გადაჭრას. ინფორმაციებით გამოსულ სსრ კავშირის მინისტრებს ნ. ა. პუგინს, ვ. მ. ველიჩკოს, ნ. ს. კონარევს, ნ. ვ. ლომაევს, ვ. თ. კონოვალოვს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვ. ი. ჩერნოივანოვს, საწარმოო გაერთიანებებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოების ხელმძღვანელებს ს. ს. დროზდს, ი. ა. პესკოვს, ა. დ. ნაცვლიშვილს მკაცრად მოჰკითხეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის გამო.

სსრ კავშირის სტატსახკომის მონაცემებით, ყოველწლიურად საცავებში არ ხვდება 29 მილიონი ტონა უკვე მოწეული მარცვლეული, სამუდამოდ იკარგება თითქმის მილიონი ტონა ხორცი, მომხმარებლამდე არ მიდის კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის მეოთხედი. მეცნიერთა აზრით ყოველწლიურად იკარგება 22-25 მილიარდი მანეთის ასეთი პროდუქცია.

ორგანიზაციულ ხარვეზებთან, უყაირათობასთან ერთად მთავარი მიზეზია აგროსამრეწველო წარმოების მატერიალური ბაზის დაბალი ტექნიკური დონე, დიდმწარმოებლური, საიმედო მანქანებისა და მოწყობილობის უქონლობა. კომისიის წევრებმა — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ე. სოკოლოვმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. გ. გრინცოვმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა: კრასნოდარისა — ი. კ. პოლოზკოვმა, როსტოვისა — ბ. მ. ვოლოდინმა, ბელგოროდისა — ა. თ. პონომარიოვმა, მოსკოვისა — ვ. კ. მესიაცმა, კალინინისა — ნ. თ. ტატარჩუკმა, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ბ. რიქკომა, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. საკალაუსკასმა და სხვებმა სასტიკად გააკრიტიკეს კონკრეტული პირები, რომლებზეც დამოკიდებულია ეფექტიანი მოსავლის აღების ტექნიკით, გადამამუშავებელი დარგებისათვის საჭირო მოწყობილობით, სამაცივრო დანადგარებით, სპეციალიზებული ტრანსპორტით, ტარით აგროსამრეწველო კომპლექსის უზრუნველყოფის საკითხების გადაჭრა, გაუზიარეს დამსწრეთ თავიანთი მოსაზრებანი შესაბამისი უწყებების, საწარმოო გაერთიანებების გარდაქმნის შესახებ.

ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ და კონსტრუქციული წინადადებანი შემოიტანეს ო. დ. ბაკლანოვმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ი. ს. სილაევმა და პ. ი. მოსტოვოიმ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა, თ. ვ. პოპოვმა — სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ა. ა. ნიკონოვმა — საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ა. პ. ნაპოლნოვმა — მოსკოვის ვ. ვ. ჩერნიშევის სახელობის მანქანათსაშენებელი საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა.

საოჯახო და გლეხთა მეურნეობების განვითარების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის შემაკავებელი ფაქტორია შრომის მექანიზაციისათვის მცირეგაბარიტიანი ტექნიკის წარმოების შეუწყნარებელი ნაკლებობა. საქმე ეხება იმას, რომ საჭიროა გამოვუშვათ ასიათასობით მინიტრაქტორი და მოტობლოკი, საწველი და საპარსი აპარატი, სხვა მოწყობილობა. ჯერჯერობით კი ვუშვებთ მხოლოდ ათასობით მანქანასა და აგრეგატს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიუროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამხედრო-სამრეწველო საკითხთა სახელმწიფო კომისიას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით წინადადება მიეცათ დააზუსტონ სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგების ტექნიკური განახლების პროგრამა მანქანებისა და მოწყობილობის კომპლექსის, სამაცივრო დანადგარების, სპეციალიზებული ტრანსპორტის შესაქმნელად, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დაცულობასა და ღრმა გადამუშავებას. ამ მიზნით დააჩქარონ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, თავდაცვითი დარგებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის ინტეგრაცია.

კომისიის წევრებმა პრინციპული პარტიული შეფასება მისცეს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი ზოგიერთი მუშაკის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენილ ფაქტებს. სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის რკინიგზათა სამინისტროს პარტიულ კომიტეტებს შესთავაზეს ამასთან დაკავშირებით განიხილონ კონკრეტული კომუნისტების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი და შედეგები გვაუწყონ პრესაში.

მხარი დაუჭირეს მცირეგაბარიტიანი ტექნიკისა და მოარენდეების, საოჯახო და გლეხთა მეურნეობებისათვის საჭირო მოწყობილობის გამოშვების 1989-1995 წლების დარგთშორის პროგრამას, რომლის შესაბამისად გათვალისწინებულია მეცამეტე ხუთწლედში 4-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდოს მცირე მექანიზაციის საშუალებათა საშუალო წლიური წარმოება.

შეაჯამა რა განხილვის შედეგები, ე. კ. ლიგაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ რეალიზაციაში მთელ ტექნოლოგიურ ჯაჭვში — წარმოებიდან მომხმარებლამდე — პროდუქციის დაცვა-შენახვის ღონისძიებათა განხორციელება სასურსათო რესურსების სწრაფი ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჩვენს ქვეყანაში კვების პროდუქტების ერთეულის წარმოებას ხმარდება 30 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ყურადღებას იმსახურებს ამ პრობლემებზე კომპლექსური პროგრამების შემუშავება და განხორციელება რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონებისა და მეურნეობების დონეზე, დადებითი გამოცდილების დაგროვება და გაზიარება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამაცივრო და კვების მოწყობილობის ხარისხს. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისათვის, მმართველობისა და დაგეგმვის ორგანოებისათვის ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის პრობლემა უნდა გახდეს. აქ მთელი ძალით უნდა ავამოქმედოთ სოფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის, ტრანსპორტის, შემნახველი ბაზების, გადამამუშავებელი მრეწველობის, სამეცნიერო ორგანიზაციების შრომითი კოლექტივები, ერთი სიტყვით, სასურსათო კონვეიერის ყველა მონაწილე და რგოლი. ეს მილიონების საქმეა, ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა.

(საკდესი).

რთველი - 89

როგორც საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი იუწყება, 10 ოქტომბერს კახეთში მოიკრიფა და გადასამუშავებლად გაიგზავნა 264.726 ტონა ყურძენი. რეგიონში მისი დამზადების წლიური გეგმა შესრულდა 67,4 პროცენტით.

გურჯაანის რაიონში 58.514 ტონა მოიკრიფა, გეგმით გათვალისწინებული 84.500 ტონიდან, სიღნაღში — შესაბამისად 20.367 და 41.000, წითელწყაროში — 29.627 და 62.500, თელავში — 56.410 და 62.065, ახმეტაში — 23.014 და 33.640, ყვარელში — 40.267 და 56.000, ლაგოდეხში — 15.706 და 20.850, საგარეჯოს რაიონში — 20.821 და 31.800.

რთველი გრძელდება ქართლის ველის მეურნეობებში. ყურძნის დღიურმა კრეფამ აქ შეადგინა 800 ტონაზე ოდნავ მეტი. ყურძნის კრეფას შეუდგნენ ზესტაფონში — დასავლეთ საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთ წამყვან რაიონში.

მთლიანად რესპუბლიკაში სეზონის დაწყებიდან დამზადებულია 285.024 ტონა ყურძენი. ჯერჯერობით გეგმა რეალიზებულია 53,7 პროცენტით. პროდუქციის შაქრიანობა შეადგენს 18,9 პროცენტს — ოდნავ მეტს, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში იყო.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

ძნელ კანონშემოქმედებით მუშაობას კვლავ შეუდგნენ დეპუტატები 9 ოქტომბერს კრემლში კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დილის სხდომაზე. სხდომას უძღვებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **მ. ს. გორბაჩოვი.** გაგრძელდა მუხლობრივი კენჭისყრა კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტების) გადაწყვეტის წესის შესახებ კანონის პროექტის გამო.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირაში უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე პარლამენტის წევრებმა თხუთმეტი მუხლიდან პირველი ხუთი მუხლი მიიღეს. მომდევნო დღეებში სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შექმნეს კავშირის საბჭოს შრომის, ფასებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხთა კომისიამ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტმა, განაგრძო მუშაობა ათობით წინადადებისა და შენიშვნის განზოგადებისათვის.

ეს განაცხადა ორშაბათს კომისიის თავმჯდომარემ **ნ. ნ. გრიცენკომ.** მან აღნიშნა, რომ წინადადებები, შესწორებები და დაზუსტებანი, რომლებსაც სპეციალისტებმა ყოველმხრივი და კომპეტენტური ექსპერტიზა გაუწიეს, შეიცავენ ბევრ საყურადღებო მოსაზრებას, რაც გათვალისწინებულია კენჭისყრის დროს, ორატორმა დაასახელა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომლებსაც, სამუშაო ჯგუფის აზრით, მხარი უნდა დაუჭირონ.

მან ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ კანონი უნდა მიიღონ უკვე ახლა, რომ იგი მოქმედებდეს პერიოდში, როცა მიმდინარეობს 1990 წლისათვის კოლექტიური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მომზადება. კანონით შეიარაღებული შრომითი კოლექტივები შეძლებენ დაეყრდნონ მას, დაამკვიდრონ თავიანთი მოთხოვნები ადმინისტრაციასთან კოლექტიურ ხელშეკრულებებში, სამინისტროებთან შეთანხმებებში.

მიუხედავად ამისა დეპუტატები მთელი გულისყურით მოეკიდნენ თითოეულ მუხლს, ფრაზას, ფორმულირებას, დიდი დაინტერესებით განიხილეს ისინი, გააანალიზეს, შეამოწმეს სხვადასხვა აზრით. ეს ძნელი პროცესი ერთ საათს როდი გრძელდებოდა. მას პრაქტიკულად სესიის მუშაობის მთელი დღე დასჭირდა.

განხილვის დროს აღიძრა მრავალი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ჩვენი ცხოვრებისათვის ისეთ ახალ საკმაოდ არაერთმნიშვნელოვან, მწვავე ფორმასთან, როგორიცაა გაფიცვები. კერძოდ, ერთმანეთს შეეჯახა სხვადასხვა თვალსაზრისი წარმოებისა და მომსახურების სფეროებში იმ ზღვარზე, რომლის მიღმა გაფიცვები დაუშვებელია, რადგან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ მთლიანად საზოგადოებას, სახელმწიფოს, ადამიანთა სიცოცხლესა და უშიშროებას.

კამათი დაიწყო საგაფიცვო კომიტეტების როლის, უფლებამოსილებათა გამოც. ზოგი ორატორი წინადადებას აყენებდა მათი საქმიანობა შეიზღუდოს შრომითი კონფლიქტის დროებრივი ფარგლებით, სხვების წარმოდგენაში ეს შეიძლება იყოს ლამის მუდმივმოქმედი არაფორმალური ორგანო. მთავარია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში იგი არ სწევდეს სახალხო დეპუტატთა ახალი საბჭოების სრულძალაუფლებიანობის მაგივრობას. მეორე მხრივ, აღინიშნა ზოგიერთ გამოსვლაში, თუ ადგილობრივი საბჭო, წამოჭრილ კოლექტიურ შრომითს დავაში ან კონფლიქტში არ აღმოჩნდება მდგომარეობის სიმაღლეზე, ცხადია, რომ იგი დაკარგავს ამომრჩეველთა ნდობას, აქედან გამომდინარე ყველა კონსტიტუციური შედეგით.

ილაპარაკეს რა გაფიცვებზე, პარლამენტარები უწინარეს ყოვლისა, ზრუნავდნენ შრომითი კოლექტივების კანონიერი უფლებების, წარმოების მართვასა და თვითმართველობაში რეალური მონაწილეობის უფლებათა დაცვისათვის. სესიაზე გამოითქვა ისეთი აზრიც, რომ გაფიცვა, რომელიც დესტრუქციული მოვლენაა, შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტრუქციული მხრიდანაც როგორც მომუშავეებსა და სამუშაოს მიმცემთა ურთიერთობის უკუკავშირის გამოხატულება. ასე რომ, კანონმა უნდა უზრუნველყოს კონსტრუქციული პირობები, რომ ამ უკუკავშირმა არ შეიძინოს კონფლიქტის ფორმები.

სალამოს სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ა. ი. ლუკიანოვის** თავმჯდომარეობით, დამთავრდა მუხლობრივი კენჭისყრა. შემდეგ ქვეყნის უმაღლესმა საბჭომ პალატების ცალ-ცალკე კენჭისყრით მთლიანად მიიღო სსრ კავშირის კანონი კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტების) გადაწყვეტის წესის შესახებ.

მაგრამ მისი ზოგიერთი ფორმულირება, როგორც დეპუტატებმა აღიარეს, მოითხოვს უფრო საგულდაგულო დახვეწას. იმისათვის, რომ არ მიმართონ ასეთ შემთხვევაში საშიშ ექსპრომტს, საჭიროდ ცნეს იგი დაამთავრონ სამუშაო წესით.

თავად დეპუტატები შორს არიან საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის შეფასებაში ერთსულოვნებისაგან, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ ჩვეულებრივი ამბავი იყო. ზოგიერთმა მათგანმა თავიანთი შეხედულებანი და აზრები ჩამოაყალიბა საკდესის საპარლამენტო კორესპონდენტებისათვის მიცემულ მოკლე ინტერვიუში.

ვ. ი. კისინი: რაკი გაფიცვები უკვე რეალობად იქცა, საჭიროა საკანონმდებლო საფუძვლებზე მიღებული ამ პროცესის იურიდიული რეგულატორიც. ამასთან კანონი გამორიცხავს საწარმოებში წამოჭრილი რთული საკითხების გადაწყვეტისადმი უწყებრივ ან სხვა მიდგომის შესაძლებლობას.

ნ. ი. ტრავკინი: გაფიცვების შესახებ კანონის მიღება ამ კანონების პაკეტის გარეშე, რომლებიც ეკონომიკურ რეფორმას ეხება, ლოგიკურად არ მიმაჩნია. დემოკრატიული პროცესები საბჭოთა საზოგადოებაში დროის მიხედვით მოსწყდა სამეურნეო რეფორმას.

ს. ს. ალექსეევი: სესიის მუშაობა გვიჩვენებს, რომ იკვეთება კანონპროექტის ცივილიზებული და საქმიანი განხილვის კონტურები. პარლამენტის განსახილველად შემოტანილი იყო მხოლოდ დამუშავებული ტექსტები. ნაუცბათევად შემოთავაზებულ შესწორებებს კი არ ვათანხმებდით, არამედ გადავცემდით კომისიებსა და კომიტეტებს. უმაღლესი საბჭო აყალიბებს კარგ საკანონმდებლო კულტურას.

10 ოქტომბერს დეპუტატები შეიკრიბნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მორიგ პლენარულ სხდომაზე.

(საკდესი).

მოვლენათა ქრონიკა

ზეიმობენ ახალმოსახლეობას

ტყიბული. მეშახტეთა ქალაქის ერთ-ერთ მაგისტრალურ ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. აქ კეთილმოწყობილი ბინები მიიღო 60 მოწინავე მეშახტის ოჯახმა.

მუშათა საცხოვრებელი უბანი შლის მხრებს ტყვარჩელის ქუჩის მახლობლად. აქ უკვე წამოიმართა 4-9 სართულიანი სახლი. გუშინ კი საძირკველი ჩაეყარა 5-9 სართულიან სახლს.

წელს ქალაქში აშენდება საცხოვრებელი სახლები 15400 კვადრატული მეტრი ფართობით, უფრო მეტი, ვიდრე შარშან.

გეგმის გადამეტებით

ზესტაფონი. უალკოჰოლო სასმელების-ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის 9 თვეში მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიაწოდა 150 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება კი 124 პროცენტით გაანაღდეს.

ამ საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ვეტერანმა მუშებმა ნ. გაჩეჩილაძემ, ნ. აბულაძემ, ჰ. ლომინაშვილმა, ნ. ორბელიძემ და სხვებმა. თითოეულმა მათგანმა 2-3 თვით გაუსწრო კალენდარს.

ვადამდე

ხაშური. საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის მშრომელებმა წლის დამდეგიდან მომხმარებლებს გეგმის გადაჭარბებით მილიონი 590 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს, ამასთან გააფართოვეს ასორტიმენტი და გააუმჯობესეს ხარისხი.

წარმატება განაპირობა იჯარის დანერგვამ, საამქროებისა და უბნების ახალი ტექნიკით აღჭურვამ. მაგალითად, საქსოვ საამქროში დაამონტაჟეს და აამოქმედეს 5 ახალი დაზგა. ამის შედეგად ფაბრიკის პროდუქციის საერთო ოდენობაში მძიმე ფიზიკური შრომის წილი 18,5 პროცენტით შემცირდა, უმაღლესი ხარისხის ნაწარმის გამოშვება კი 22,6 პროცენტით გაიზარდა.

დაწინაურდნენ მქსოველები ს. ხაჩიძე, ი. ხაჭაპურიძე, გ. ლომიძე, ლ. აბრამიშვილი და სხვები, რომლებიც დღიურ ნორმებს 130-135 პროცენტით ასრულებენ.

გავაძლიეროთ ბრძოლა ეკონომიკის სფეროში სამართალდარღვევების წინააღმდეგ

გარდაქმნისა და ქვეყნის წინაშე მდგომ სიძნელეთა პირობებში მოქალაქეთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს ეკონომიკის სფეროში სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობის მრავალრიცხოვანი ფაქტები, რომლებიც დიდ მატერიალურ და მორალურ-პოლიტიკურ ზარალს აყენებენ საზოგადოებას. ვითარება მოითხოვს საკანონმდებლო, საკონტროლო და ორგანიზაციული ხასიათის ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას, რათა მოხდეს გარდატეხა იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის საქმეში, რომლებიც ეკონომიკის სფეროში სამართალდარღვევებსა და დამნაშავეობას იწვევს.

ასე დააყენა საკითხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა 6 ოქტომბერს კრემლში გამართულ მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა თათბირზე. როგორც თათბირზე აღინიშნა, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ისეთი შეუწყნარებელი მოვლენები, როგორიცაა უშრომელი შემოსავლის, სპეკულაციის, დატაცების ზრდა, ვაჭრობაში დეფიციტური საქონლის დამალვა, სამართალდარღვევების მრავალრიცხოვანი შემთხვევები კოოპერაციული საქმიანობის სფეროში, აგრეთვე სამართალსაწინააღმდეგო მოქმედება საგარეოეკონომიკური კავშირურთიერთობის დარგში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ყურადღება მიეპყრო იმას, რომ ასეთი პროცესები აძლიერებენ მოსახლეობის ქონებრივ დიფერენციაციას, ისინი სოციალურ და სამეურნეო სფეროებში დესტაბილიზაციის საშიშ ფაქტორებად იქცნენ. არაკანონიერად იყენებენ რა ეკონომიკური რეფორმის მიერ შექმნილ ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობებს, სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ბაზაზე გააქტიურდნენ სხვადასხვა ჯურის საქმოსნები და მაქინატორები. ისინი არცთუ ისე იშვიათად კოოპერატივებს ქმნიან უშრომელი შემოსავლის სალეგალიზაციოდ.

სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე კრიმინოგენურ დარგად ვაჭრობა რჩება. 1989 წლის პირველ ნახევარში დეფიციტური საქონლის რეალიზაციის დადგენილი წესის დარღვევები გამოვლინდა სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 154 ათასი შემოწმებული საწარმოდან ყოველ მესამეში. არასახარბიელო მდგომარეობა იქმნება აგროსამრეწველო სექტორში სოციალისტური საკუთრების დაცვის მხრივ. მის წილად მოდის ეკონომიკის სფეროში მომხდარი თითქმის ყოველი მესამე დანაშაული. ბევრი დარღვევა ფიქსირდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

იმ სასარგებლოსთან ერთად, რომელიც კოოპერაციას მოაქვს, შეშფოთებას იწვევს ეკონომიკის ამ სექტორში ანგარებითი დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების ზრდა. ეს მშრომელებს აღუძრავს საფუძვლიან უკმაყოფილებას, უნდობლობას ზოგადად კოოპერაციული მოძრაობისადმი. სოციალისტური მეურნეობრიობის პრინციპების მადეფორმირებელ სერიოზულ დარღვევებს განეკუთვნება კოოპერატივების მიერ მწვავედ დეფიციტური ნედლეულისა და მოწყობილობის უკანონო გზით შეძენა. საზოგადოებრივი კვების კოოპერატივების პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მზადდება საცალო სავაჭრო ქსელში, და არა მოსახლეობისაგან შეძენილი ნედლეულით. იშვიათი როდია შემოსავლის დამალვის შემთხვევები. იგი ხშირად სულაც არ შეესაბამება დახარჯულ შრომას. კანონების დარღვევას ხელს უწყობს ის, რომ ფინანსური და სხვა ეკონომიკური ორგანოები სათანადო კონტროლს არ უწევენ კოოპერატივების საქმიანობას.

ეკონომიკის სფეროში სამართალდარღვევათა ფართოდ გავრცელების მიზეზებს შორის დასახელებული იყო სამეურნეო მექანიზმის, აგრეთვე სამართლებრივი სისტემის არასრულყოფილება, რაც კანონებისათვის გვერდის ავლის ან მათი არარსებობით სარგებლობის საშუალებას იძლევა.

თათბირზე არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული საქმის მდგომარეობა ეკონომიკური სამართალდარღვევებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამართალდამცავი და სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები თავს ვერ ართმევენ სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა კოლექტიური და პირადი ინტერესების დაცვის ამოცანებს. დაუმუშავებელია სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიკური მეთოდები, დაკისრებულ ფუნქციებს ვერ ასრულებს ფინანსური კონტროლი; მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სასჯელის ზომები ხშირად შეუფარდებელია იმ ზარალთან, რომელსაც მომხმარებელი და საზოგადოება განიცდიან. ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის პრაქტიკაში კვლავ არის ჩადენილისათვის პასუხისმგებლობის შესუსტების ტენდენცია.

ვითარების გაჯანსაღების მიზნით აუცილებლად მიიჩნიეს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში სისტემატურად განიხილებოდეს ეკონომიკის სფეროში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული პრობლემები და წინადადებები საამისო ღონისძიებების შესახებ, ხორციელდებოდეს ქმედითი კონტროლი მათი შესრულებისადმი. კერძოდ, დაისახა, რომ დაჩქარდეს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება, გაიშალოს თანამედროვე პირობებში ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მომზადება, რათა ეფექტიანი სამართლებრივი ბაზა შეექმნას სპეკულაციასთან, უშრომელ შემოსავალთან, დატაცებასთან და სხვა სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებასთან ბრძოლას. ამან საგრძნობლად უნდა განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი ეკონომიკის სფეროში, გაზარდოს ანტისაზოგადოებრივ ელემენტებზე ზემოქმედების ყველა საშუალების ეფექტიანობა. ეს ღონისძიებები განხორციელდება საჯაროობის პირობებში, შრომითს კოლექტივებთან და ფართო საზოგადოებრიობასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვ. ა. კრიუჩკოვი, ა. პ. ბირიუკოვა, ბ. კ. პუგო, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე გ. ვ. კოლბინი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. შალაევი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. ი. სუხარევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. ს. შკაბარდნია, სსრ კავშირის მინისტრები ვ. ვ. ბაკატინი, ვ. ფ. იაკოვლევი, ვ. ს. პავლოვი, კ. ზ. ტერეხი, მთელი რიგი ეკონომიკური უწყებების ხელმძღვანელები.

(საკდესი).

შენდება გადმოსახლებულთათვის

სტიქიური უბედურებით დაზარალებული აჭარიდან გადმოსახლებულთათვის ახალქალაქის რაიონში სახლების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ გამართულ თათბირზე გამოტანილი საკითხები ეხებოდა მეტად მწვავე, ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემებს. თათბირში, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ალექსანდრე პავშენცევი, მონაწილეობდნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გურამ ემირიძე, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მრავალი მინისტრი, დიდი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების გენერალური დირექტორები, სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტების, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსები, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

აღინიშნა, რომ ბოლო ხანს ბევრი რამ გაკეთდა, რათა დროულად გადასცენ საექსპლოატაციოდ გადმოსახლებულთათვის განკუთვნილი სახლები, სამშენებლო კომპლექსში მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება, მობილიზებულია მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსები და მუშახელი წლევანდელი პროგრამის უთუო შესრულებისათვის. მაგრამ გაწეულ სამუშაოს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავჯერდეთ. ჯერ კიდევ არის ბევრი გადაუჭრელი პრობლემა. და თითოეული მათგანი არატიპიურია. ისინი ეხება სახლების, სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების აგებისათვის გამოყოფილი ტერიტორიების საინჟინრო მომზადების მდგომარეობას, ტექნიკური დოკუმენტაციით მათ უზრუნველყოფას, დროულ დაფინანსებას, მასალებით მშენებლობათა შეუფერხებელ მომარაგებას. კერძოდ, აღინიშნა, რომ კასპის ცემენტ-შიფერისა და რუსთავის ცემენტის ქარხნებმა თავიანთი პროდუქციით უკეთ უნდა მოამარაგონ სამშენებლო ობიექტები ახალქალაქის რაიონში, რათა მთლიანად გამორიცხონ მშენებელთა საყვედურები ამ საწარმოთა კოლექტივების მიმართ და აღმოფხვრან მოცდენა. თათბირმა მოითხოვა განიხილონ და მიიღონ ზომები იმათ მიმართ, ვინც ნაკლებად აწვდის ცემენტს სამრეწველო-სამოქალაქომშენს, საქაგრომშენს, საქჰიდროენერგომშენს, კავკასიის გვირაბმშენს, ცეკავშირს, ხოლო შიფერს — გორის ტრესტ „მტკვარწყალმშენს“, რომლებიც ძირითად სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებენ ახალქალაქის რაიონში.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, როგორც თათბირზე ითქვა, არადამაკმაყოფილებლად ასრულებს მშენებელთა ალებასტრით უზრუნველყოფის დავალებას, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს სამუშაოთა ვადებზე და ხარისხზე. თათბირმა მოითხოვა, ერთ კვირაში დაამყარონ წესრიგი ამ საქმეში, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობას დაევალა გააძლიეროს კონტროლი მისდამი დაქვემდებარებული საშენ მასალათა საწარმოების მუშაობისადმი.

აღინიშნა აგრეთვე, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ გადაუდებელი ღონისძიებები უნდა განახორციელოს რათა მინიმუმამდე შეამციროს საშენი მასალებისა და სხვა ტვირთის გზაში ყოფნის დრო.

პრეტენზიები გამოითქვა საქართველოს სსრ სახმომარაგების, სხვა ორგანიზაციების მისამართითაც, რომლებიც შედარებით ცუდად ამარაგებენ მშენებარე ობიექტებს სანტექნიკური, ელექტროტექნიკური მოწყობილობით, ლითონით, მინით, კონსტრუქციებით.

თათბირმა მოსთხოვა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს და მოუწოდა რესპუბლიკის საზოგადოებრიობას მეტი ყურადღება დაუთმონ ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს, როგორიცაა აჭარიდან გადმოსახლებულთათვის საცხოვრებელი ბინების დროული საექსპლოატაციოდ გადაცემა, გამოთქვა რწმენა, რომ ამ უბანზე დასაქმებული ყველა სამინისტროს, უწყების, ხელმძღვანელები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა გადამწყვეტი გარდატეხა შეიტანონ მუშაობაში და თავი გაართვან სამშენებლო პროგრამას. (საქინფორმი.



ახალქალაქის რაიონში, სოფელ გოგაშენში კავგვირაბმშენის მშრომელები აჭარლებისათვის ორ კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ბინას აშენებენ. გარდა ამისა, მათ აქ ააგეს კომპლექსი, სადაც იჭრება სამშენებლო ბლოკები, აქვთ სარემონტო საამქროები, სასაწყობო ნაგებობა, ფაქტობრივად ეს წარმოება გოგაშენის 60 ბინის მშენებლობას ემსახურება. როგორც სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა რევაზ ბაკურაძემ თქვა, მშენებლობა აქ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, დაზამთრებამდე დიდი დრო როდი დარჩა და მომუშავეთა ბრიგადები ყველაფერს ღონობენ, რომ არ მოცდნენ, რიტმულად აშენონ და კეთილსინდისიერად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა. მშენებლებს კარგი სამუშაო პირობები აქვთ შექმნილი, სასადილოში უფასოდ იკვებებიან, მოქმედებს აბანო, საძინებელი ვაგონები დათბუნებულია, მოაწყვეს წითელი კუთხე, ასე რომ, აქ ნამდვილად აქტიურად ცხოვრობენ. ხუმრობა ხომ არ არის, დილის 7 საათიდან ღამის 2-3 საათამდე ფეხზე არიან და თავდადებით საქმიანობენ, ამიტომაც მათ ყოფაზეც უნდა იზრუნონ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, როდესაც მშენებლობა დამთავრდება ეს კომპლექსი აქაურ მცხოვრებლებს გადაეცემა და ისინი დაეპატრონებიან საწარმოს.

სურათებზე: ავტომატური ბეტონსაზიდი ხაზი; მთავარი მექანიკოსი გიორგი ზარიძე, ოსტატი ზურაბ ქელეხსაშვილი, მექანიკოსი გიორგი ქაშხაძე, სამმართველოს უფროსი რევაზ ბაკურაძე, წარმოების უფროსი მურადი ყამარაული, სამუშაოთა მწარმოებელი დავით ჩაკვეტაძე.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

პროპაგანდისტის ქმედითი სიტყვა

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა: პოლიტგანათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ იკრიბებიან ხოლმე პროპაგანდისტები, რათა შეაჯამონ თავიანთი მუშაობის შედეგები, განსაზღვრონ სამომავლო მთავარი ორიენტირები. რამდენიმე დღის წინათ ასეთი შეხვედრა გაიმართა პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლში. მაგრამ წინანდელი შეხვედრებისაგან განსხვავებით ახლა აქ არ ყოფილა ჩვეულებრივი ინსტრუქტაჟი, დირექტიული მითითებანი და ა. შ.

შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის თბილისის რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, ქალაქის პარტიული კომიტეტების მდივნები იდეოლოგიურ მუშაობაში, წამყვანი პროპაგანდისტები და საზოგადოებათმცოდნეები, გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბეგლარ მახარაშვილმა. როცა აღნიშნა, ჩვენს საზოგადოებაში განახლების პროცესები პროპაგანდისტთა წინაშე სახავენ თვისებრივად ახალ ამოცანებს, მან მთელი ყურადღება მიაპყრო ახალ მიდგომას აუდიტორიასთან მუშაობისადმი, ლექციური მეცადინეობიდან გულახდილ დიალოგზე გადასვლის საჭიროებას. პრობლემები არ უნდა რჩებოდეს პროპაგანდისტთა თვალთახედვის გარეთ. მათი ამოცანაა ადამიანებს ესაუბრონ საჭირბოროტო საკითხებზე, ამავე დროს შემოქმედებითად ეძებონ და იპოვონ კიდეც პრობლემების გადაჭრის გზები. ამ საქმეში საჭიროა საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია, რადგან ყველას ერთი მიზანი აქვს — რესპუბლიკა იყოს ეკონომიკურად ღონიერი, სულიერად აღორძინებული.

მაგრამ ამ გზაზე მოგვიწევს დავძლიოთ სერიოზული სიძნელეები, აღნიშნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ, რომელიც პროპაგანდისტთა აქტივის წინაშე გამოვიდა. ურთულესი პრობლემების მთელი კვანძი დღეს დაკავშირებულია რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ პროცესებთან, სოციალური სფეროს მდგომარეობასთან. ამის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა უმნიშვნელოვანეს პერიოდში თავისი საქმიანობის ხუთი სტრატეგიული მიმართულება.

რესპუბლიკის ეკონომიკაში სულ უფრო მწვავედ იგრძნობა კრიზისული მოვლენები. არ შესრულებულა მოგების გეგმა ცხრა თვის შედეგების მიხედვით. უკანასკნელ ხანს ვითარება კიდევ უფრო გაღრმავდა რკინიგზის ტრანსპორტზე მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით. მისი არარიტმული მუშაობის გამო რესპუბლიკაში ვერ მოდის ყოველდღიური მოთხოვნის დიდძალი საქონელი. ბევრი საწარმო იძულებულია გაჩერდეს ნედლეულისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის უკმარი მიწოდების გამო. ახლა ზოგჯერ დახლებზე ვერ შეხვდები ყველაზე ელემენტარულ საქონელსაც კი. რესპუბლიკის მთავრობა სერიოზულად წუხს შექმნილი ვითარების გამო. ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებანი, რათა უზრუნველვყოთ მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება საჭირო სურსათით, საწვავით, სამშენი მასალებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს იმასთან დაკავშირებით, რომ ვადაზე უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ სახლები საქართველოს მთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებულთათვის. ამ გადაუდებელ ამოცანებთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრაზე, იდეოლოგიურმა აქტივმა თავისი მუშაობის ძირითადი აქცენტი უნდა გადაიტანოს იქ, სადაც დღეს წყდება ჩვენი ცხოვრების უმწვავესი პრობლემები.

შემაშფოთებელია ეკოლოგიური ვითარება. შეხვედრაზე მოიყვანეს ასეთი ციფრი: უკანასკნელი მონაცემებით ყოველწლიურად ქალაქ თბილისის ატმოსფეროში ამოიფრქვევა მილიონ ტონაზე მეტი მავნე ნივთიერებანი. მათგან 87 პროცენტი მოდის საავტომობილო ტრანსპორტზე. უკეთესი კი არა, ბევრ შემთხვევაში უარესი ვითარებაცაა რესპუბლიკის სხვა რეგიონებში. ყოველივე ეს, — ითქვა შეხვედრაზე, მოწმობს, რომ სერიოზულად გამწვავდა ეკოლოგიური სიტუაცია რესპუბლიკაში. რას აკეთებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გარემოს გაჯანსაღებისათვის? ამ მიმართულებით მიღწეულია რეალური შედეგები. კერძოდ, შეჩერდა მსხვილი ობიექტების პროექტების განხორციელება, რომლებიც შენდებოდა ეკოლოგიური ექსპერტიზის გარეშე. კერძოდ, შეჩერებულია ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის, მძლავრი სამაგისტრალო გაზსადენის მშენებლობა, რომელსაც უნდა გაევლო მდინარე არაგვის ხეობაში. დღეს მთავრობაში მოქმედებს სპეციალური ეკოლოგიური კომისია, რომლის დასკვნის გარეშე არ განხორციელდება არც ერთი მსხვილი მშენებლობა. მალე კი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდება ეკოლოგიის გაჯანსაღების სახელმწიფო პროგრამის პროექტი.

დიდი ამოცანები დგას პროპაგანდისტთა წინაშე სოციალურ საკითხებში, დემოგრაფიის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დარგშიც. ყველა ამ პრობლემის გამო მუშავდება სახელმწიფო პროგრამები. მათი მიღების საჭიროება კი ნაკარნახევია თუნდაც იმით, რომ ამიერკავკასიაში შობადობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეიმჩნევა ქართველთა შორის. ამავე დროს დიდია ახალშობილთა სიკვდილიანობა. ამ პრობლემების გადაჭრაში უკანასკნელ ხანს სულ უფრო ფართოდ ებმება საზოგადოებრიობა. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების შექმნა ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

პროპაგანდისტებმა მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ სწორედ იმ მიმართულებებს, რომლებიც ადამიანებს შესაძლებლობას მისცემენ უფრო მწვავედ შეიგრძნონ თავიანთი წილნაყარობა რესპუბლიკის საქმეებთან, დაირაზმონ გადაუდებელ პრობლემათა გადაჭრისათვის. ეს არის რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაც, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივი საწარმოების შექმნაც, ჩვენი ქალაქების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებაც. ყველგან, სადაც კი პროპაგანდისტი მივა, მისი სიტყვა უნდა იყოს ქმედითი, ადამიანებს განაწყობდეს ჩვენი ცხოვრების განახლების პროცესებში რეალური მონაწილეობისათვის.

შეხვედრის დასასრულს უპასუხეს მრავალ კითხვაზე.

(საქინფორმი).

კეთილსინდისიერი შრომით

ამ ბოლო ხანებში გაუჭირდა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს". ვერ შესრულდა პროდუქციის ხელშეკრულებით მიწოდების ცხრა თვის გეგმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისმა კოლექტივმა უკლო შრომის ტემპს. აქ ბევრი ადამიანი ირჯება კეთილსინდისიერად და ერთ-ერთი მათგანია თინათინ ყალიჩავა. იგი ყოველდღიურ ნორმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებითა და ხარისხიანად ასრულებს.

• • •

სურათებზე: მქსოველი თინათინ ყალიჩავა; ერთ-ერთი საამქროს ხედი.

ჯაბარ ლომაძის ფოტო.



ეკოლოგია

დავიცვათ დედაბუნება

ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროცესმა, პროექტისა და ტექნიკური ზედამხედველობის სუსტად განხორციელების შედეგად, ნაწილობრივ დაარღვია დარიალისა და თერგის ხეობების ბუნებრივ-ლანდშაფტური პირობები. ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და მთელ რიგ ორგანიზაციებს დაავალა სასწრაფო ღონისძიებების განხორციელება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1989 წლის 9 აგვისტოს განკარგულებით შექმნა სპეციალური კომისია, რომლის ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაეკისრა.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაათვალიერა მშენებარე მაგისტრალური გაზსადენის მთელი მონაკვეთი ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ფარგლებში და შედეგები მოახსენა ძირითად კომისიას. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები და აღნიშნული რაიონების საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საკითხის განხილვის შედეგად მიმდინარე წლის 20 სექტემბერს გამოსცა დადგენილება, რომლითაც შეაჩერა ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა, გარდა გამაგრებითი სამუშაოებისა, რომელთა ნუსხა თან დაერთო. საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა მიმდინარე წლის ნოემბრის დამლევამდე დაამთავროს მაგისტრალური გაზსადენის პროექტის სრული ეკოლოგიური ექსპერტიზა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს დაევალა განაგრძოს მუშაობა გაზსადენის მაგისტრალური ტრასის ფარგლებში.

ერთი თვის ვადაში საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიამ" უნდა შეადგინოს რეკომენდაცია-დასკვნები მეწყერ-საშიში და სხვა გეოლოგიური პროცესების მოსალოდნელი ადგილების, აგრეთვე ავარიული უბნების შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედება საკავშირო სატყეო მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მიერ შესაბამისად სატყეო და ალპური ზონებისათვის პროექტების შესადგენად გასაწევ სამუშაოს. სათანადო დავალებები მიეცათ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებსაც. ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, არაგვისა და თერგის აუზების ბუნებრივ-ლანდშაფტური პირობების უნიკალურობის, ეთნიკურად სუფთა მჭიდრო დასახლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოამზადონ მასალები არაგვისა და თერგის ხეობების ნაკრძალად გამოსაცხადებლად და მიმდინარე წლის დამლევამდე წარმოუდგინონ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გამო

ამ დღეებში კომისიის წევრებმა ადგილზე შეამოწმეს მაგისტრალური გაზსადენის ტრასა, რომელზედაც ამჟამად არავითარი აღდგენითი სამუშაოები არ მიმდინარეობს. საქტრანსგაზს წინადადება მიეცა შეადგინოს აღდგენითი სამუშაოების გრაფიკი, და წარუდგინოს იგი სათანადო აღმასკომებს, რათა მასში აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობას გაეწიოს სათანადო კონტროლი და დახმარება.

ნოემბრის თვეში განმეორებით შემოწმდება მაგისტრალური გაზსადენის ტრასის ფარგლებში აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობა. თუ დადგინდა, რომ მათი შესრულებისათვის ბევრი არაფერი გაკეთებულა, კომისია იძულებული იქნება დასვას საკითხი სათანადო ინსტანციების წინაშე ბრალეულთა ადმინისტრაციული და პარტიული პასუხისმგებლობის შესახებ.

ყველა მასალის გაანალიზებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იმსჯელებს მაგისტრალური გაზსადენის შემდგომი მშენებლობის საკითხებზე

გურამ მირიანაშვილი.

კომისიის თავმჯდომარე.

სემინარი თელავში

□

ბჭობენ ჟურნალისტები

□

„**რაიონული** გაზეთი და გარდაქმნა" — ასეთი იყო თემა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ მოწყობილი სემინარისა, რომელიც ამ დღეებში თელავში გაიმართა. სემინარში მონაწილეობდნენ კახეთის რეგიონის ჟურნალისტები, რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების მუშაკები. სემინარის მონაწილენი შეხვდნენ საქართველოში სტუმრად მყოფ თურქეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანოს „ჯუმჰურიეთის" რედაქტორს სამი კარაიორენს და პოლონეთის მუშათა გაერთიანებული პარტიის გაზეთ „გოლოს ვიდჟეჟას" (ქ. გდანსკი) რედაქტორს ანდჟეი პენჩინსკის.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივნის მოადგილემ აკაკი სიხარულიძემ თელავის რაიონული გაზეთის „ალაზნის განთიადის" კოლექტივს გადასცა საპატიო სიგელი, რომელიც მან 1988 წელს რესპუბლიკის რაიონულ გაზეთებს შორის გამართულ კონკურსში გამარჯვებისათვის დაიმსახურა.

ზურაბ არსენიშვილი,

„კომუნისტის" საკ. კორ.

მიმდინარეობს გამოძიება

7 ოქტომბერს 16 საათზე დაბა გადრუტში (მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი) დაჯდა კომის ასს რესპუბლიკის უხტის ავიასაწარმოს კუთვნილი და სომხეთის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოსადმი დროებით მიწერილი მი-2ჩ ვერტმფრენი (საბორტო ნომერი 0ცც121). თუ დოკუმენტებით ვიმსჯელებთ, ვერტმფრენი ჩამოფრინდა სომხეთის გორისის რაიცენტრიდან.

როგორც საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში აცნობეს, ტვირთი — ფქვილი, ტექნიკური მოწყობილობა — განკუთვნილი იყო სომხეთის „გულმოწყალების" საზოგადოებისათვის. მას გზაში ახლდა საზოგადოების წარმომადგენელი გ. ნახატაკიანი და 24 კაცი. ჯარისკაცებმა დაიწყეს გადმოტვირთვა და ფქვილისა და სხვათა გარდა ტომრებსა და ყუთებში აღმოაჩინეს 52 ფ-1 საიმიტაციო გრანატა, „ფ-1" გრანატის 38 თვითნაკეთი ლითონის კორპუსი (საქარხნო წესით დამზადებული), 100 ელექტროდეტონატორი, რომლებიც ელექტროზონართან იყო შეერთებული, გრანატების 54 ამფეთქებელი, 30 მეტრი ბიკფორდის ზონარი, 79 მცირე კალიბრიანი ვაზნა, კარტეჩით დატენილი 272 სანადირო მასრა, სანადირო თოფის 211 ვაზნა, სასიგნალო პისტოლეტი და მისი 3 რაკეტა, 4 სანადირო თოფი, ლულაწაჭრილი კარაბინი, 100-მილიმეტრიანი საზენიტო ქვემეხის საკეტი, ამ იარაღის დოკუმენტაცია.

ვერტმფრენის ეკიპაჟის მეთაურმა გ. მალცევმა განაცხადა, რომ არც მან და არც ეკიპაჟის წევრებმა იარაღის შესახებ არაფერი იცოდნენ. ვერტმფრენავში იარაღის აღმოჩენის ფაქტთან დაკავშირებით გაძლიერდა კონტროლი სომხეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აეროპორტებსა და ყველა დასაჯდომ პუნქტში.

• • •

6 ოქტომბერს ღამით უცნობმა პირებმა ააფეთქეს მდინარე ყარ-ყარის ხიდი სტეპანაკერტის მახლობლად. ამის შედეგად პრაქტიკულად შეწყდა სატვირთო ავტოტრანსპორტის მიმოსვლა სტეპანაკერტიდან მარტუნისა და გადრუტის რაიონებში, რის გამოც ამ რაიონების დასახლებული პუნქტები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ორივე ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, მიმდინარეობს გამოძიება. მაგრამ აი რა უნდა ითქვას: ამაოდ ცდილობენ ექსტრემისტები ასეთნაირად გადაწყვიტონ რეგიონის რთული პრობლემები. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის პროვოკაცია, განსაკუთრებით საშიში ახლა, იმ სტაბილიზაციის მომენტში, რომელიც ეს-ეს არის იწყება. ტერორიზმი კი არასოდეს არა ყოფილა ეფექტიანი ინსტრუმენტი სამოქალაქო და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში.

ნ. დემიდოვი,

საკდესის კორ.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

როცა ასეთი დარღვევებია

შემოწმებამ, რომელიც სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიასთან ერთად მოაწყო, ცხადყო, რომ ქალაქ სამტრედიის სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ძალზე ნელი ტემპით გარდაქმნიან მუშაობას კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, სასურსათო საქონლის ასორტიმენტის ფორმირებისათვის.

გამოვლინდა კვების პროდუქტებით ქალაქვაჭრობის რიგი ობიექტების უსაფუძვლოდ პრივილეგირებული მომარაგებისა, ხოლო სხვა ობიექტებისათვის მათი ოდენობის ხელოვნურად შემცირების მრავალი ფაქტი.

აი, ზოგიერთი მათგანი:

ქალაქვაჭრობის სისტემაში 1988 წელს შაქრის მარეალიზებელ 58 ობიექტიდან, 10-მა ობიექტმა შაქარი კუთვნილზე მეტი, ხოლო 18-მა — ნაკლები მიიღო. შარშან ქალაქვაჭრობის № 2 უნივერსამის სასურსათო საქონლის სექციას, №№ 5, 7, 22 და 36 მაღაზიებს საერთო რაოდენობით კუთვნილზე 63,5 ტონით მეტი შაქარი მისცეს, ხოლო №№ 9, 25 და 11 მაღაზიებს კუთვნილზე 79,2 ტონით ნაკლები არგუნეს. ასევე ხვედრითი წილისა და კონტინგენტის გაუთვალისწინებლად განაწილდა კარაქი, ხორცი, ყველი, წიწიბურა, შედედებული რძე, ხორცის კონსერვები, თევზის დელიკატესები, ძეხვეულის ნაწარმი, იმპორტული ლუდი და სხვ. მაგალითად, შარშან № 2 უნივერსამის სასურსათო სექციას, №№ 3, 5 და 7 მაღაზიებს საერთო მოცულობით კუთვნილზე 89,8 ტონით მეტი კარაქი უწილადეს, ხოლო №№ 9, 11 და 13 მაღაზიებს კუთვნილზე 9,6 ტონით ნაკლები. ასეთი მდგომარეობა წლეულსაც გრძელდება. მაგალითად, ქალაქვაჭრობის № 37 მაღაზიას კუთვნილზე 300 კილოგრამით მეტი ხორცი მისცეს, ხოლო №№ 3 და 7 მაღაზიებს — შესაბამისად 0,4 და 1,6 ტონით ნაკლები.

საქონლის განაწილების წესებს არღვევენ სამტრედიის მუშათა მომარაგების განყოფილებაშიც. 1988 წელს შედედებული რძის განაწილებისას № 3 მაღაზიას 270 ქილა დააკლეს, ხოლო № 4 მაღაზიაზე 1299 ქილით მეტი გასცეს. ამდაგვარადვე განაწილდა კარაქი, შაქარი და სხვა პროდუქტები.

სამტრედიის კოოპვაჭრობაში დარღვევებით განაწილდა ხორცის კონსერვები, დამწნილებული სოკო და სხვ.

სათანადო წესრიგი არც შაქრის ტალონებით ნორმირებული გაყიდვის საქმეშია. ქ. სამტრედიაში ტალონები შაქრის შეძენაზე არ წარმოადგენენ მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტებს. ამ მიმართებით სავაჭრო ობიექტების მუშაობაზე სათანადო კონტროლს არ ახორციელებს ქალაქვაჭრობის ხელმძღვანელობა. არ ხდება რეალიზებული შაქრისა და დასაქონლებული ტალონების რაოდენობრივი აღრიცხვა.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ აქ დასტამბულ ტალონებზე ხშირ შემთხვევაში არ არის მინიშნებული წელი, თვე და გასაცემი შაქრის ოდენობა.

შაქრის ნორმირებული რეალიზაციის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტები გამოვლინდა აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მუშათა მომარაგების განყოფილების სავაჭრო ობიექტში.

ქალაქვაჭრობის № 49 მაღაზია დიდი სამამულო ომის მონაწილეებსა და ინვალიდებს ემსახურება. აქ გადამალული იყო 300 ქილა შედედებული რძე და 700 კილოგრამი შაქარი. აქვე ივლისის პირველ დეკადაში თავისუფალი გაყიდვის წესით გაასაღეს 106 ქილა შედედებული რძე და 40 კილოგრამი ხორცი.

რკინიგზის სამტრედიის მუშათა მომარაგების განყოფილების საზოგადოებრივი კვების საწარმოს დააკლდათ 113 მანეთის 215 ქილა შედედებული რძე. აქვე ინახებოდა სარეალიზაციოდ უვარგისი 2650 მანეთის 12,5 ტონა დამწნილებული ბოსტნეული, რომელიც თვითშესყიდვით შეიძინეს. მუშათა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელობის მხრივ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დაცვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამავე საწყობის ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ იყო დაყრილი 30 ათასი მანეთის გაძარცვული სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობა.

უხეშად ირღვევა კვების პროდუქტების შენახვის პირობები სამტრედიის რაიკოოპკავშირის საწყობშიც, სადაც 3785 მანეთის სასაქონლო სახედაკარგული კვების პროდუქტები (ხილბოსტნეულის კონსერვები, მაკარონეული, მინერალური წყლები და სხვა.) აღმოჩნდა.

პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის შეზღუდულ შესაძლებლობათა პირობებში შემოწმებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები საკმაო ყურადღებას არ უთმობენ სასურსათო საქონლის გამოყოფილი ფონდების ათვისებას. შარშან სამტრედიის ხილბოსტანვაჭრობამ არ აითვისა ბოსტნეულისა და ხილის ფონდები 629 ტონის საერთო მოცულობით, ხოლო სამტრედიის რაიკოოპკავშირის კოოპვაჭრობამ მოსახლეობას 239 ათასი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები დააკლო.

არც სამკურნალო და ბავშვთა სკოლამდელი ორგანიზაციების სასურსათო უზრუნველყოფას ეთმობა სათანადო ყურადღება. გაანალიზებულ პერიოდში სამტრედიის ქალაქისა და რკინიგზის საავადმყოფოებს, საბავშვო ბაგებსა და ბაღებს საერთო რაოდენობით 28 ტონამდე კვების სხვადასხვა პროდუქტი დააკლეს. აქედან ბოსტნეული და ხილი — 22 ტონა.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული გზები. ამასთან გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის მკაცრად დაისაჯა სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

სამტრედიის ქალაქვაჭრობის დირექტორი ვ. სანადირაძე გადაყენებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსს ზ. გოგმეჩაძესა და სამტრედიის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარეს ლ. ახობაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური და მათვე დაეკისრათ სამ-სამი თვის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობის თანხის გადახდა.

სამტრედიის ხილბოსტანვაჭრობის დირექტორს ს. წიქვაძეს გამოეცხადა საყვედური.

სამტრედიის სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალა განიხილოს ამ შემოწმებით გამოვლენილ დარღვევებში უშუალოდ დამნაშავე თანამდებობრივ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

გავუფრთხილდეთ მიწას — ჩვენს მარჩენალს

ყველაფერი მიწით იწყება და მითვე მთავრდებაო, — უთქვამს ბრძენს. მიწის გონივრულად გამოყენებაზეა ძირითადად დამოკიდებული სოფლის წინსვლა, მისი აყვავება და მშრომელთა კეთილდღეობა.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკურ პრესაში საგანგაშო სიგნალები გაისმა რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მიწათსარგებლობის საქმეში მომხდარი დიდი დარღვევების შესახებ, სადაც წლების მანძილზე იტაცებდნენ და ითვისებდნენ სახელმწიფო მიწის ნაკვეთებს.

ასეთი რამ ჩვენს რაიონშიც რომ არ მომხდარიყო, რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა და მათ შორის სახალხო კონტროლის კომიტეტმაც ბოლო დროს მნიშვნელოვნად გააქტიურეს მუშაობა, შეიქმნა და მოქმედებს მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის რაიონული კომისია, რომელსაც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე უძღვება, კომისიის ერთ-ერთ წევრად შეყვანილია სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ინსპექტორი. აღნიშნულმა კომისიამ ამ რამდენიმე თვის წინათ სოფელ წითელწყაროში, საიდანაც განსაკუთრებით ხშირი იყო საჩივრები მიწის კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, საფუძვლიანად შეამოწმა მიწათსარგებლობის საქმეში არსებული მდგომარეობა, და ბევრი სერიოზული ნაკლოვანება გამოავლინა.

ამ სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა საკარმიდამო მიწების ინვენტარიზაცია, ხოლო ბოლო ოთხი წლის მანძილზე არავითარი ცვლილებები არ შეტანილა კოლმეურნეობის მიწების ზონარგაყრილ წიგნში. ამან განაპირობა, რომ აღნიშნული წიგნით სოფელში მცხოვრებ 181 ინდივიდუალური ბინის მფლობელს ერიცხება 21,9 ჰექტარი მიწის ფართობი, აზომვით კი აღმოაჩნდათ 32,8 ჰექტარი, ანუ 10,9 ჰექტრით მეტი, რაზეც წლების განმავლობაში არ ხდებოდა გადასახადის გაწერა.

კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დარღვეულია საქართველოს სსრ მიწის კანონთა კოდექსის მთელი რიგი მუხლების მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც კოლმეურნეობა მიწის ნაკვეთს გამოუყოფს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ მოცემულ სოფელში. აქ 1987-1988 წლებში ზოგიერთი მოქალაქისათვის ბინათმშენებლობისათვის ჯერ მიცემულია საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, შემდეგ კი ისინი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ჩაუწერიათ. მაგალითად, მოქალაქე ი. ა. გალიჩევი წალკის რაიონიდან საცხოვრებლად ჩამოვიდა სოფელ წითელწყაროში, სადაც ჩაეწერა მოქალაქე ივანე თეთვაძის ბინაში (1987 წ. 16 სექტემბერს), კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ კი მას მიწის ნაკვეთი გამოუყო ჩაწერამდე ადრე — 1987 წლის 31 ივლისს. ამავე სოფელ წითელწყაროში ვ. გ. ზოროღლიანი საცხოვრებლად ჩამოვიდა ბოგდანოვკის რაიონიდან (1988 წ. 19 აგვისტოს), ბინა იყიდა ა. კარაპეტიანისაგან, რომელიც დღემდე არაა გაფორმებული მყიდველზე მხოლოდ იმიტომ, რომ მინდობილობას ვადა გასვლია.

ამასთან დაკავშირებით დავსძენთ, რომ წითელწყაროს სასოფლო საბჭოსა და ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დღემდე არა აქვთ დაკანონებული, რომ საცხოვრებლად თუ სამუშაოდ ჩამოსულ მოქალაქეს მოსთხოვონ საბუთები, თუ საიდან ჩამოვიდა იგი, ერიცხება თუ არა იქ მიწის ნაკვეთი ან სახლი.

პარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიურომ განიხილა შემოწმების შედეგები და აღნიშნული დარღვევებისათვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს რ. გარსევანიშვილს გამოუცხადა საყვედური და გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ნატროშვილი და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ბაგალიშვილი მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი.

მიწათსარგებლობის წესების დაცვის, მიწების უნებართვოდ გაცემისა და მითვისების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაება აგრეთვე სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტიც.

სოფლების მიხედვით შექმნილ კომისიებში სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაკებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლებმაც, კოლმეურნეობათა მიწათმომწყობებმა, რუსთაველის საზოგადოებისა და სახალხო ფრონტის რეგიონული ორგანიზაციის წევრებმა.

შემოწმების შედეგად ბევრგან საკმაოდ სოლიდური დარღვევებიც გამოვლინდა. ზემო მაჩხაანში სოფელთან კავშირგაწყვეტილი 22 მოქალაქე წლების განმავლობაში ფლობს ზედმეტ საკარმიდამო ნაკვეთებს სამი ჰექტარის ოდენობით.

თვით სოფელში მცხოვრები კოლმეურნეები არღვევენ მიწათსარგებლობის კანონს და უნებართვოდ ფლობენ ნორმის ზევით მიწის ნაკვეთებს. სულ სოფელ ზემო მაჩხაანში ნორმის ზევით საკარმიდამო მიწის ფართობს ფლობს 28 კაცი. ამავე სოფელში მცხოვრებ არსენა ნაცვლიშვილს და ვანო ნატროშვილს ნახევარ ჰექტარამდე სოფლისპირა საძოვარი აქვთ მითვისებული.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში არა აქვთ საკარმიდამო მიწის ნაკვეთების გამოყოფაზე მოქალაქეთა განცხადებების აღრიცხვის ჟურნალი. საკარმიდამო მიწის ზონარგაყრილ წიგნში არის გადაშლისა და შესწორების შემთხვევები ამასთან ზონარგაყრილ წიგნში არ არის რეგისტრირებული სამი მოქალაქე, რომელთაც რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით მიღებული აქვთ საკარმიდამო ნაკვეთები.

რამდენიმე წლის წინათ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში მუშაობა დაიწყეს სხვა რაიონებიდან მოსულმა მოქალაქეებმა ლათიბა და ჯავაშარ გაჯიევებმა. მათ მიითვისეს 0,28 ჰექტარი საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთი, რომელზეც ააშენეს დამხმარე სათავსები. ამჟამად აღნიშნულ პირებს ჩამოერთვათ მიტაცებული ნაკვეთები და გასახლებული იქნენ სოფლიდან:

მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევებია ქალაქის ტერიტორიაზეც. ქალაქ წითელწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოქალაქეთა მიერ მიტაცებული აღმოჩნდა 8,1 ჰექტარი მიწის ფართობი. აქ ხშირია სახლებზე უნებართვო უპროექტო მიშენების შემთხვევა.

წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრების დადგენილებით ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოწერეს 1.56 ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავები. გამონთავისუფლებული ფართობი საკარმიდამო მიწის ფონდში აიღეს, ზემდგომ ორგანოებს ჯერჯერობით ამის შესახებ სათანადო გადაწყვეტილება არ მიუღიათ, მოქალაქე მ. ლათიბაშვილს კი აღნიშნულ ფართობზე უკვე დაწყებული აქვს ინდივიდუალური ბინის მშენებლობა, რაც დღეისათვის შეჩერებულია.

მოქალაქე რ. მუმლაძეს კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრების დადგენილებით გაუფორმდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი ბინის ყიდვასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც აღნიშნულ მოქალაქეზე კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრების 1980 წლის დადგენილებით ირიცხებოდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი თამარისქურაზე.

კოლმეურნეობაში მიწების ზონარგაყრილი წიგნი შედგენილია 1974 წელს, რომელიც 1985 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით არ არის განახლებული. თურმე გარდაცვლილ პირზე ჯერ კიდევ ირიცხება საკარმიდამო მიწის ნაკვეთები.

სოფელ ოზაანის კოლმეურნეობაში 1983 წლის შემდეგ არ ჩატარებულა საკარმიდამო მიწების ინვენტარიზაცია. ოთხი მოქალაქე, სოფელთან კავშირის გაწყვეტისა, სხვაგან მუშაობისა და ცხოვრების მიუხედავად 0,8 ჰექტარ მიწის ფართობს ფლობს.

მიწათსარგებლობის წესების დარღვევა იყო ქვემო ქედის კოლმეურნეობაშიც, სადაც 13 მოქალაქე ნორმის ზევით ფლობდა 1,82 ჰექტარ საკარმიდამო მიწას.

ანალოგიური დარღვევებია გამარჯვების, საბათლოსა და არხილოსკალოს კოლმეურნეობებშიც.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და შემოწმების მასალები განსახილველად შეიტანა სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომში.

შოთა წიკლაური,

წითელწყაროს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

სანიტარიული წესრიგისათვის

გორში, ქართლის შუაგულში სისუფთავის დაცვა როგორც მოსახლეობის, ისე ქალაქის შესაბამისი სამსახურების საერთო საზრუნავი უნდა იყოს, მაგრამ არც ერთი ეს მხარე ამისათვის თავს დიდად არ იწუხებს.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მესვეურებს თუ დავუჯერებთ, ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ ქალაქში ეპიდემიის საწინააღმდეგო, განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების თავიდან აცილებისა და სანიტარიული წესრიგის, სისუფთავის დაცვისათვის.

თუმცა სადგური (მთავარი ექიმი ი. ქუჩუკაშვილი), ატარებს ერთგვარ მუშაობას, მაგრამ ქალაქში სანიმუშო სისუფთავის დამყარებისა და საშიში ინფექციური დაავადებების აღკვეთისათვის ბევრი არაფერი გაკეთებულა.

სახალხო კონტროლიორებმა გამოავლინეს, რომ სანეპიდსადგური დროულად და სისტემატურად არ ახორციელებს კვების ობიექტების, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სანიტარიულ შემოწმებას და თუ ახორციელებს, ზერელედ, უხარისხოდ,

სანეპიდსადგურის მუშაკებს რატომღაც შეუმჩნეველი დარჩათ ზოგი რამ: მაგალითად, საკოლმეურნეო ბაზრის დირექციამ, კოოპერატორების მიერ ტანსაცმლით ვაჭრობისათვის ხელი რომ შეეწყო, თანაც მიმღები პუნქტისათვის ადგილის გამონთავისუფლების მომიზეზებით, ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობა დახურული შენობიდან ღია ბაზარში გადაიტანა; დახურულ ბაზარში კი სასურსათო პროდუქტების გვერდით გაფართოვდა ყვავილებით ვაჭრობა. არადა დაგიდევენ, რომ ყვავილების მავნე მწერები და ქიმიური შხამების ნარჩენები იოლად შეიძლება კვების პროდუქტებზეც გადავიდეს. ისევ სანეპიდსადგურის თანამშრომელთა კონტროლის შესუსტების შედეგად საკოლმეურნეო ბაზარში ხშირია შეუმოწმებელი რძითა და მისი პროდუქტებით, დაკლული ქათმით, ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის ფაქტები. დადგინდა სასურსათო ობიექტებში სარეალიზაციოდ უვარგისი პროდუქტებით ვაჭრობის შემთხვევებიც. საჭირო კონტროლი არ არის ხილ-ბოსტნეულში ნიტრატების შემცველობაზე, რატომღაც ამისათვის დღემდე არ იყენებენ სპეციალურ დანადგარს. ყოველივე ამას დაუმატეთ დანაგვიანებული დახლები, დაუსუფთავებელი ტუალეტები, მოშლილი ხელსაბანები და ისიც, რომ კოლმეურნეთა უმრავლესობა პროდუქტებს უსპეცტანსაცმლოდ ყიდის, რომ საწონი თეფში ცუდად ირეცხება, არ იყენებენ სადეზინფექციო საშუალებებს. აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა „დიდ მუშაობას" ატარებს სანეპიდსადგური ბაზარში სანიტარიული წესრიგის დასამყარებლად.

სანეპიდსადგური უნდა იბრძოდეს ქალაქში სასმელი წყლის სიწმინდისათვის. მაგრამ ის დიდად არც ამისათვის ზრუნავს. წყალსადენის სათავე ნაგებობებზე არ არის დაცული სანიტარიული ზონები. სადგურის ხელმძღვანელობამ არ გამოიჩინა პრინციპულობა და სანიტარიული ზონის მახლობლად გაშენდა მეღორეობის ფერმა, თევზსაშენი კოოპერატივი. და ყოველივე ამის შემდევ სადგურის ქიმიურ ლაბორატორიაში საჭირო რეაქტივების უქონლობის მომიზეზებით არ კეთდება სასმელი წყლის სრული ანალიზი(?).

ქალაქად სანიტარიული წესრიგის დაცვა, პირველ რიგში, კეთილმოწყობის სამსახურისა და სანეპიდსადგურის ურთიერთთანამშრომლობაზეა დამოკიდებული. ქალაქის ბევრი ქუჩა დაბინძურებულია, რაც ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხეს ქმნის.

ეზოების, ქუჩების, კომუნალური მეურნეობის ობიექტების უმეტესობის დაგვა-დასუფთავების საქმე მოწესრიგებული არ არის, მოქალაქეები თვითნებურად ყრიან ნაგავს. სადგურის ხელმძღვანელობა სათანადო პრინციპულობას ვერ იჩენს ახალი საზოგადოებრივი ტუალეტების გახსნისა და არსებულის სანტექნიკური მდგომარეობის დაცვისათვის.

ვერც გამწმენდი ნაგებობების მუშაობის კონტროლისათვის „იცლიან" სანეპიდსადგურის მუშაკები.

სანეპიდსადგურის მუშაობაში ბევრი სხვა დარღვევა-ნაკლოვანებაც არის. მათ შესახებ მკაცრი მსჯელობა იყო გორის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის სხდომაზე, მკაცრადაც მოეთხოვათ პასუხი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარ ექიმს ი. ქუჩუკაშვილს, და გორვაჭრობისა და ხილბოსტანვაჭრობის დირექტორებს ნ. გენგიურსა და თ. ჩუბინიძეს. წყალსადენის სათავე ნაგებობათა დაბინძურების თაობაზე არსებული მასალები ქ. გორის პროკურატურას გადაეცა, იგი გააცნეს პარტიის საქალაქო კომიტეტსაც და ქალაქის საბჭოს აღმასკომსაც.

ვალიკო მახაროგლიშვილი.

ჩვენი თანამემამულენი საზღვარგარეთ

იქ, „პატარა საქართველოში“...

პარიზული შთაბეჭდილებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზის შესახებ ჩემს შთაბეჭდილებაზე საჯარო საუბარს როგორ გავბედავ! პარიზი ის ქალაქია, სადაც, ალბათ, წლობით უნდა იცხოვრო, რომ შეიგრძნო მისი გემო, გაიცნობიერო მისი სიდიადე და მომხიბლაობა. ერთი თვე პარიზში, ისიც ბიბლიოთეკებსა და არქივებში სამუშაოდ გამიზნული, კმარა მხოლოდ გაოცებისათვის... გაოცებისთვის არა მარტო პარიზის სიძველენით და არქიტექტურული შედევრებით, არამედ ადამიანთა ფსიქიკით, მათი შინაგანი კულტურით.

ამ წერილში ჩვენ მხოლოდ პარიზის ქართულ სათვისტომოზე გვექნება საუბარი.

* * *

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და ქართველ ინტელიგენტთა იმ მრავალრიცხოვან რაზმს, 1921 წლის მარტში რომ ევროპაში გაიხიზნა, ს. ორჯონიკიძემ „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის ბანდა“ უწოდა. ეს იარლიყი შერჩათ მათ ათეული წლების მანძილზე. ქართული ემიგრაცია საერთოდ არ მოიხსენიებოდა საბჭოთა საქართველოს პრესის ფურცლებზე და ისტორიულ-პარტიულ ნაშრომებში, ან თუ მოიხსენიებოდა, — ორჯონიკიძე-კახიანის სტერეოტიპით. არავის უცდია (ან ვინ მისცემდა შესაძლებლობას!) ჩაეხედა ამ ემიგრაციის გულში, ემსჯელა სამშობლოდან უნებლიეთ გახიზნული ოთხი ათასამდე კაცის გულისტკივილზე. აეწონა და გაესაჯა მათი საქმიანობის ავი და კარგი. ოციან წლებში საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებანი (1921 წ. სვანეთისა, 1922 წელს კახეთ-ხევსურეთისა, 1924 წელს სრულიად საქართველოსი) მიჩნეული იყო მხოლოდ ემიგრანტთა ხელმძღვანელი წრეების ინსინუაციად. 30-იან წლებში დაწყებული მასობრივი რეპრესიების ჟამს ჩეკას ჯურღმულებში ჩაკეტილთაგან უწინარესად იმის „აღიარებას“ მოითხოვდნენ, თუ რა კავშირი ჰქონდათ მათ „მენშევიკურ“ ემიგრაციასთან. მოსახლეობა იმდენად იყო დაშინებული, რომ ეჩვენებოდა, თითქოს ყველა კუნჭულიდან ემიგრანტის „კონტრრევოლუციური თვალი“ უდარაჯებდა; თითქოს ემიგრაცია ჩვენში სისტემატურად გზავნიდა ჯაშუშებს და დივერსანტებს, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის რომ ხელი შეეშალა და „ძველი რეჟიმის“ რესტავრაცია მოეხდინა.

60-იან წლებში საქართველოში საგანგებო ნაშრომიც დაიწერა („ქართული ემიგრაციის ისტორიიდან“). ნიშანდობლივია, რომ ეს წიგნი საქართველოში არ გაყიდულა. ავტორმაც და დამკვეთმა ორგანიზაციამაც კარგად იცოდნენ, რომ იგი მხოლოდ პრესის ჭორებზე იყო აგებული და სრულიადაც არ ასახავდა ემიგრაციის იმდროინდელ ცხოვრებას. თითქოს ემიგრანტთა გულმოსაკლავად, ეს წიგნი მხოლოდ საზღვარგარეთ გაიტანეს და გაავრცელეს. ბუნებრივია, უსაზღვრო იყო ამის გამო საზღვარგარეთელ პატრიოტ ქართველთა აღშფოთება. საპასუხოდ მრავალი სტატია და ცალკე ნარკვევი დაიწერა. პარიზის ქართული ეროვნული საბჭო და ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი ერთ-ერთ საპასუხო წიგნში წერდა: „ქართველი ერის წინაშე ჩვენს დაბეზღებას და ცილისწამებას უპასუხებს ქართული ეროვნული პოლიტიკური ემიგრაციის დადებითი მოღვაწეობა. ისტორია იტყვის და შესაფერისად დააფასებს იმ თვალსაჩინო შრომას, ყოველდღიურ ზრუნვას, პროპაგანდას, რაც გაწეულ იქნა საქართველოს უფლების დასაცავად და გრძელდება დღესაც“ („ქართველი ხალხის სამსჯავროზე, პარიზი 1966. გვ. 4)

ქართული ემიგრაციის მოღვაწეობის ობიექტური, გულმართალი შეფასების დრო უკვე დადგა. გამართლდა პარიზელი ავტორის წინასწარმეტყველება. გარდაქმნის სულისკვეთებიდან გამომდინარე ახლებურ აზროვნებას, საყოველთაო დემოკრატიზმისა და საჯაროობის ვითარებაში უფლებაც აქვს და მოეთხოვება კიდეც შეისწავლოს და სრულად მიუკერძოებლად გააშუქოს ქართული ემიგრაციის ისტორია, შეუსისხლხორცოს იგი ახლებური აზროვნებით დაწერილ საბჭოთა საქართველოს ისტორიას.

ამ მიმართულებით მომავალი მუშაობისას წამახალისებელია ჩვენი რუსი კოლეგების თაოსნობა. „ლიტერატურნაია გაზეტას“ და „სოვეტსკაია კულტურას“ ფურცლებზე არაერთ საბჭოთა მწერალსა და ისტორიკოსს აღუძრავს რუსული ემიგრაციისადმი ადრინდელი ოფიციალური თვალსაზრისის დაგმობის საკითხი. კაცმა რომ თქვას, რუსული ემიგრაცია ხომ ყველაზე ძლიერი ანტისაბჭოური საზღვარგარეთული ძალა იყო! იგი იმთავითვე მტრულად განეწყო სოციალისტური რევოლუციის მიმართ და მთელ თავის ძალისხმევას მიმართავდა საბჭოური სისტემის დამხობისათვის; მაგრამ ახალ ვითარებაში რუსული ემიგრაციის ძველი პოლიტიკური პროფილი უკუგდებულია, როგორც კრიტერიუმი მისი ჭეშმარიტი ღვაწლის გაცნობიერებისათვის.

ახალი პოზიციის მაგალითისათვის კმარა თუნდაც „ლიტერატურნაია გაზეტას“ ამა წლის 27 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ვრცელი სტატია იური მამლეევისა «В Поисках России»,

სტატიას წითელ ზოლად გასდევს ტენდენცია, ნათელჰყოს, რომ «Зарубежная Россия, взятая как единая культура, неотделима от самой России».

ჩვენ? ქართული ემიგრაციის კულტურული მემკვიდრეობა რატომ და როდემდე უნდა მიგვაჩნდეს საბჭოთა საქართველოსგან გათიშულად? ქართული ემიგრაცია რუსეთთან შედარებით, მართალია, მცირერიცხოვანი იყო და მისი მოღვაწეობის საშუალებანიც უფრო შეზღუდული, მაგრამ ვინ შეაფასა მოყვრის პოზიციიდან ის დიდი ეროვნული საქმენი, რომლებიც აქ ათეული წლების მანძილზე კეთდებოდა? ვინ დაინახა საჭიროდ, შეექმნა ამ ადამიანთა პოლიტიკური პორტრეტები, გაეაზრებინა და ქართული საბჭოური კულტურის საგანძურისათვის შეესისხლხორცებინა ემიგრანტული მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მონაპოვარი? დრო კი არ ითმენს. ქართული საბჭოთა კულტურის ახლებური გააზრება გვავალებს ერთნაირი ინტერესით და სრულ მთლიანობაში შევისწავლოთ და შევაფასოთ დიდი და „პატარა“ (ემიგრანტული) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა.

ქართული ემიგრაციის პარიზული ისტორიის თუმცა უტყვი, მაგრამ მაინც ყველაზე მეტყველი მატიანეა ლევილის სასაფლაო. 300-მდე გამოჩენილი ქართველი მოღვაწე განისვენებს ამ წმიდა მიწაში. ლევილის ქართული სასაფლაოს დათვალიერებისას აღძრული გრძნობები და შთაბეჭდილება ენით ვერ გადმოიცემა. საფლავთა გრძელი რიგები იწვევს ასოციაციას დიდუბის პანთეონისა... აქ თითქოს მარადიულ ძილს მისცემია 20-30-იანი წლების ინტელექტუალური საქართველო. აქაც ის ჭეშმარიტი დემოკრატიზმი და უბრალოებაა, რომელიც სიცოცხლეში ახასიათებდათ: არავითარი ზედმეტობა, არავითარი განსაკუთრებულობა. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტიც და რიგითი ემიგრანტიც ერთნაირი ყურადღებითაა მოვლილი და ერთნაირი „ძეგლით“ შემოგვყურებს. წვანან ერთიმეორის მიყოლებით ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, კონსტანტინე კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი, სიმონ მდივანი, სპირიდონ კედია, გიორგი გვაზავა, რაჟდენ არსენიძე და მრავალი სხვა — ქართული პარლამენტის მესვეურები. აქვე განისვენებენ ქართული კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწენი — გრიგოლ რობაქიძე, ზურაბ ავალიშვილი, ვიქტორ ნოზაძე, ივანე და ლევან ზურაბიშვილები, გიორგი გამყრელიძე, ვლასა მგელაძე. აქვეა საფლავი 20-იანი წლების განმათავისუფლებელი ბრძოლების გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და სხვათა, საქართველოს სიყვარულში წმიდა სანთელივით რომ დაიწვნენ დანატრულნი მშობლიურ მიწას, მასზე მლოცველნი.

პარიზის ქართველობას არა მხოლოდ უტყვი, არამედ მეტყველი, ცოცხალი მემატიანენიც საკმაოდ ჰყავს.

პარიზიდან 30 კილომეტრის დაცილებით, ლევილის ქალაქურ დასახლებაში გამოირჩევა გალავნით შემოზღუდული, ასწლოვან ცაცხვებში ჩაფლული მამული — 5 ჰექტარის მოცულობისა, რომელიც ქართული ემიგრაციის თავკაცებს 1922 წელს შეუძენიათ. შუაში ორსართულიანი სასახლეა (შატო), რომელშიც სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ ლტოლვილი ქართველები. აქ ქართული სტამბაა, სადაც ადრე იბეჭდებოდა ის მრავალი სახელწოდების ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, უხვად რომაა წარმოდგენილი ადგილობრივ ბიბლიოთეკაში. ერთი სიტყვით, ლევილი, როგორც ამას მისი დღევანდელი გამგებელი და ერთგული მომვლელი მამია ბერიშვილი მოგვითხრობს, „გახდა უცხოეთში მყოფ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა კერა, რაც თავის ეროვნულ ფუნქციას ასრულებს დღესაც, ქართული მამულის 67 წლის თავზე“ („ლევილობა“, პარიზი, 1987) ლევილში ყოველწლიურად სამჯერ მაინც, როგორც წესი, თავს იყრის მთელი პარიზის ქართველობა. ემიგრაციის მძიმე ყოველდღიურობის მიუხედავად, არის სამი თარიღი, როცა ყველა ლტოლვილი ქართველი „ერთს ფიქრსა ფიქრობს“, ერთნაირის სულისკვეთებით სუნთქავს. ესაა 1918 წლის 26 მაისი, 1921 წლის 25 თებერვალი, 1924 წლის 28 აგვისტო. პირველი თარიღი განსაკუთრებული ზეიმის დღეა, დანარჩენი ორი — დაკარგული თავისუფლებისა და მისთვის ბრძოლის მსხვერპლთა მოსაგონარი.

პარიზელ ქართველთა ცოცხალ მემატიანეთაგან გამოვყოფ რამდენიმეს, რომლებიც ემიგრანტთა ან პირველ თაობას ახლდნენ, ან 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ გაიხიზნენ საქართველოდან.

ვიქტორ ხომერიკი. ნოე ხომერიკის ვაჟიშვილი, იგი 11 წლისა იყო, ემიგრაციაში რომ მოხვდა მამასთან ერთად. მამა, როგორც ცნობილია, 1924 წლის აჯანყების დამარცხებისას დახვრიტეს საქართველოში. მძიმე ცხოვრება გამოიარა ნოეს ოჯახმა პარიზში, მაგრამ ვიქტორი მალე დავაჟკაცდა, ცხოვრებას შეეგუა, ალღოც აუღო. პირად საქმიანობასთან ერთად მუდამ დაუღალავი იყო სათვისტომოს საერთო ჩანაფიქრის განხორციელებისათვის შრომაში. იგი უზადო ქართულით მეტყველებს. მოკრძალებული და სიტყვაძვირი კაცია, ამასთან ამაყი და პრინციპული. თვალები მოყვასისადმი სითბოსა და სიყვარულზე მეტყველებენ. ვიქტორი დიდხანს მესვეურობდა სათვისტომოს გამგეობას. ისეთი ავტორიტეტი მოიხვეჭა, რომ ახლაც, საპენსიო ასაკშიც, ახალგაზრდები თავკაცად თვლიან.

ლევან ფაღავა. 1924 წელს ჭიათურაში აჯანყების მონაწილეა. თურმე სასწაულად გადაურჩა ტალახაძის მიერ იქ მოწყობილ სასაკლაოს. 18 წლისამ მიაშურა ემიგრაციას და მას შემდეგ დაუღალავად ეწევა ჭაპანს საზოგადოებრივი სამსახურისას.

ლევანი დიდად განათლებული კაცია, მჭევრმეტყველი, ტკბილმოუბარი. 80 წელს გადაცილებულია, მაგრამ გუშინდელ დღესავით ახსოვს პარიზელ ქართველთა თავგადასავალი (აი, ვისი მონაწილეობით უნდა შეიქმნას პარიზის სათვისტომოს ისტორია). დიდი ხანია რედაქტორობს ჟურნალ „ჩვენს დროშას“. საშუალება მქონდა ამ ჟურნალის ნომრები გადამეთვალიერებინა. ჯანსაღი პოზიციიდან ეხმაურება იგი არა მარტო ემიგრაციის ცხოვრებას არამედ პოლიტიკურ მოვლენათა განვითარებას საქართველოში, მის სატკივარს თუ წარმატებებს.

მამია ბერიშვილი. ნაამბობით ეს კაცი განდეგილად მყავდა წარმოდგენილი. იგი მართლაც მკაცრი და მიუკარებელია, როცა საქმე შეეხება სათვისტომოს საზოგადო ქონებას, ლევილის საბიბლიოთეკო ფონდს, არქივს. მაგრამ უჩვეულოდ ხელგაშლილი, სტუმართმოყვარე და მეგობრულია პირად ურთიერთობაში. მამია ლევილის ქართულ არქივს განაგებს. მისი მეუღლე ქალბატონი ქეთრინი ქართველთა სასაფლაოს ზედამხედველობს. ეს ფრანგი ქალბატონი ყველა ქართველისადმი დისა და დედის სულისკვეთებითაა განმსჭვალული. ხასიათიც ისეთი აქვს, რომ გიჭირს, არ იწამო მისი ქართული წარმომავლობა. მერე როგორი დიასახლისია, როგორი ოსტატობით ფლობს ქართულ სამზარეულოს!

სათვისტომოს თავკაცთა შორის მოკრძალებას იწვევს **გიორგი წერეთელი.** იგი შედარებით ახალგაზრდაა, პარიზის ქართულ სათვისტომოს ომის შემდეგ შეუერთდა, მაგრამ თავისი ნიჭითა და განათლებით, მინდობილი საქმისადმი თავწაკლული ერთგულებით ყველას გული მოინადირა. ომის წინ თბილისის უნივერსიტეტში უსწავლია. სპეციალობით ფიზიკოსია, მაგრამ პარიზში ყოფნის შემდეგ მშობელი ერის ისტორიაში ჩაღრმავებულა. შესანიშნავად იცის ქართული ერის წარსული და მისი ისტორიული ბედ-იღბალის მოსაბრუნ პერიოდებზე საკუთარი შეხედულება აქვს. სწამს, რომ პარტიულმა განცალკევებამ და „უჩემოდ რად იმღერეთას“ სენმა დაღუპა საქართველო. — საერთო ეროვნული ფრონტი დამოუკიდებელი საქართველოსათვის ბრძოლაში — ასეთია მისი დევიზი. რედაქტორობს ჟურნალ „გუშაგს“; ეს ჟურნალი უცხოეთში საქართველოს დამოუკიდებლობის მებრძოლთა ბეჭდვითი ორგანოა, რომელიც შეწირულებათა სახსრებით არსებობს. ბატონი გოგი ამ ჟურნალის არა მარტო რედაქტორი, არამედ ერთადერთი მუდმივი თანამშრომელია. მხარში უდგას მეუღლე — კდემამოსილი ქართველი ქალბატონი ეთერ შენგელია, რომლის სათნოება, ქცევის მანერები ისეთივეა, როგორიც ქართველ მანდილოსნებს რევოლუციამდე ჰქონდათ.

პარიზის ქართველთა სათვისტომოს უფროს თაობაში ასევე გამოირჩევიან პატივცემული **მიხეილ ქავთარაძე,** რომელიც წლების მანძილზე ჟურნალ „ივერიას“ რედაქტორობს და რომლის პირადად გაცნობის შესაძლებლობა მისი ავადმყოფობის გამო არ მომეცა, **ვალენტინ** (კიტა) **რიჟამაძე,** რომელიც აგრეთვე საკუთარ ჟურნალს სცემს. **პავლე ვაშაძე, თამაზ ნასყიდაშვილი, მირიან მელუა, გრიგოლ ლომაძე,** ქალბატონები — **ზურაბიშვილისა, დადიანისა** და მრავალნი სხვანი.

პარიზის ქართველთა სათვისტომოს გამგეობას ახლახან არჩევითი პრინციპით სათავეში ჩაუდგა სერგო (სერჟი) მელიავა. მან არ იცის ქართული, მაგრამ, ჩანს, აღზრდილია ქართული ტრადიციებით და სამშობლო მისი საფიცარია. სერჟი დიდი ოჯახის მამაა, ოთხი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი ჰყავს, რომელთაც არა მარტო სახელები აქვთ ქართული არამედ გული და სიამაყის გრძნობაც. მეუღლე — ქალბატონი მონი ეროვნებით პოლონელია, მაგრამ ისიც ქართველადაა მოქცეული. სერჟი მეუღლითურთ რამდენჯერმე ყოფილა საქართველოში. კარგად იცნობს ქართველი ერის ისტორიას, მის სადღეისო მტკივნეულ პრობლემებს, ქართველი კაცის ნაკლსა და ღირსებას. ჩვენ ბედნიერება გვქონდა არაერთხელ ხანგრძლივად გვესაუბრა საქართველოს დღევანდელობასა და მომავალზე. ამ პრობლემებს იგი განიხილავს როგორც ერის ნამდვილი ჭირისუფალი, მაგრამ ევროპული სამზირიდან. სკეპტიკურად უყურებს ქართველი ახალგაზრდობის ჯიქურ სწრაფვას დაუყოვნებლივი დამოუკიდებლობისაკენ. მიაჩნია, რომ ამ დიდი დანიშნულებისათვის ჯერ კიდევ არა ვართ შინაგანად სათანადოდ მომზადებული, ჯერ კიდევ გასავლელია ვრცელი გზა შრომისა, ფსიქიკური გარდაქმნისა.

ჩვენ ახლა აღარ ვმალავთ, რომ XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში (ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ისტორიაში საერთოდ უამრავი თეთრი ლაქაა. ამ პერიოდისადმი მიძღვნილ ისტორიულ ნაშრომებში ვითარება ისეა დახატული, თითქოს ეროვნული თავისუფლების, პროგრესის საქმეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები ემსახურებოდნენ, თითქოს ყველა პარტია ნაციონალისტური და კონტრრევოლუციური იყო თავისი ბუნებით. საქართველოს რევოლუციამდელი წარსული ბოლშევიკებისა და მენშევიკების შეურიგებელ ბრძოლამდეა დაყვანილი. ერის პროგრესისათვის მებრძოლი დემოკრატიული ძალები არ ჩანან. ისტორიის მატიანეში მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის სახელი საერთოდ არ მოიხსენიებოდა, თუ მაინცა და მაინც ახსენებდნენ, — ათასგვარი შეურაცხმყოფელი იარლიყებით. ასე გაჩნდა თეთრი ლაქების წყება. ასე გაღარიბდა და დაჩიავდა ჩვენი ერის ახალი და უახლესი ისტორია.

რუსმა ისტორიკოსებმა იფიქრეს ამაზე. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსურმა სამეცნიერო საბჭომ, რომლის დანიშნულებაა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის მეცნიერული შესწავლა და რომელსაც ახლა სათავეში უდგას საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მშობლიურ ისტორიაში ახლებური აზროვნების ერთ-ერთი თაოსანი პ. ვ. ვალაბუევი, დასახა ფართო გეგმა ამ „ლაქების“ ამოსავსებად. მომავალ სამუშაო სამეცნიერო გეგმაში მან ძირითად მიმართულებად ჩაწერა სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდის გამოჩენილ მოღვაწეთა პოლიტიკური პორტრეტების შექმნა; მათ შორის მოიხსენიებიან თვალსაჩინო პიროვნებანი მათი პოლიტიკური მრწამსის განურჩევლად, ყველანი, ვინც დადებითად თუ უარყოფითად ზეგავლენას ახდენდნენ XX საუკუნის რუსეთის ისტორიის ბედ-იღბალსა და მიმართულებაზე (სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებთან სწავლობენ სტოლიპინის, მილიუკოვის, როძიანკოს, კერენსკის, დენიკინის, ჩერნოვის და მრავალთა სხვათა მოღვაწეობას). ამავე ნუსხაში შეყვანილი არიან ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე და კაკი წერეთელი. საბჭოთა ქართული სექციის სხდომებზე დაზუსტდა და დაკონკრეტდა მომავალი სამუშაო გეგმა. „თეთრ ლაქებში“ ნაგულისხმევ პიროვნებათა სიაც გამრავლდა: არჩილ ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, გ. დეკანოზიშვილი, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, ა. ჩხენკელი, სპ. კედია, გ. გვაზავა, რ. გაბაშვილი, პ. სურგულაძე, სილ. ჯიბლაძე, ი. რამიშვილი, გრ. ლორთქიფანიძე და სხვები. ამ მოღვაწეთა ცხოვრება-მოღვაწეობის რევოლუციამდელი პერიოდი ჩვენთვის ასე თუ ისე ცნობილია და წყაროებიც საკმაოა, რომ პოლიტიკური პორტრეტები გამოიკვეთოს. მაგრამ 1921 წლის თებერვლიდან, როცა ამ შემადგენლობიდან უდიდესი უმრავლესობა ემიგრაციაში აღმოჩნდა, ან რეპრესირებულ იქნა და 30-იანი წლების თვითნებობას შეეწირა, ფარდა დაშვებულია. არაფერი ვიცით, როგორ ცხოვრობდნენ და რა ასულდგმულებდათ მათ ემიგრაციის დღიდან სიცოცხლის ბოლომდე. ნუთუ ისე შეიცვალნენ, რომ სამშობლოსათვის კონტრრევოლუციურ ძირგამომთხრელ საქმიანობას „ეწეოდნენ“, როგორც ამას ჩვენი პრესა და ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, თუ სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულნი, თავიანთი მრწამსით გულწრფელად იბრძოდნენ მისი ბედნიერი მომავლისათვის. ერთი სიტყვით, როგორც დასაწყისში ითქვა, ახალმა ვითარებამ, ახლებურმა აზროვნებამ განაპირობა ქართული ემიგრაციის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ხელახალი შესწავლა.

ამ მიზანდასახულებით მიგვავლინა ერთი თვით პარიზში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ პროფ. ი. ტაბაღუა, თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი პ. სურგულაძე და თქვენი მონა-მორჩილი.

პარიზში გახიზნული საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საქმიანობაზე, მათ თანმხლებ პოლიტიკურ მოღვაწეთა შემოქმედებითს პროდუქციაზე ზოგადი წარმოდგენა მქონდა და მეგონა ახალს ბევრს ვერაფერს მივაგნებდით. მაგრამ ჩვენს წინაშე სრულიად სხვა ვითარება და შემოქმედებითი საქმიანობის უფართოესი მასშტაბები გადაიშალა.

დასამალი როდია და არც შელამაზებას საჭიროებს, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა პარიზში გაიხიზნა სამშობლოში მალე დაბრუნების იმედით. ეგონათ და სჯეროდათ, რომ ევროპის ქვეყნები მათს ენერგიულ თხოვნას გამოეხმაურებოდნენ და აიძულებდნენ საბჭოთა რუსეთს, ხელი აელო საქართველოს ოკუპაციაზე, აღედგინა მისი კანონიერი დამოუკიდებლობა, რომელიც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით აღიარა და შემდეგ თვითონვე დაარღვია. ამ ამოცანას ემსახურებოდა ემიგრაციის პოლიტიკური საქმიანობა 1921-1925 წლებში. მათ ჩემოდნებიც კი არ გაუხსნიათ, არ ოჯახდებოდნენ, მგზავრის განწყობილება ჰქონდათ, მოუთმენლად ელოდნენ ნანატრ დღეს სამშობლოში დაბრუნებისა.

ვის არ მიაკითხეს ამ წლებში ქართველმა ლტოლვილებმა! ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, იუგოსლავიის და სხვა დიდი თუ მცირე ქვეყნების მართველი წრეებიდან დახმარებას ითხოვდნენ, მემორანდუმებით აავსეს ერთა ლიგის, მეორე ინტერნაციონალის პორტფელები. ყველა ქვეყნის მთავრობის მეთაური უღიმოდა ქართველ ელჩებს; ბევრი თანაგრძნობის სიტყვა ითქვა ერთა ლიგისა და სხვადასხვა სოციალისტური ასოციაციათა ტრიბუნებიდანაც, მაგრამ შედეგი ნული აღმოჩნდა. რეალურ დახმარებაზე ყველა ქვეყანა ცივ უარს ამბობდა. კარგად იცოდნენ, რომ საქმე ექნებოდათ რუსეთთან — უძლიერეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფენომენთან, რომლის პარტნიორობა დღეს თუ ხვალ მათთვის გარდუვალი ჩანდა.

„—ჩვენი ემიგრაციის ტანჯული ისტორია იმის ნათელი მაგალითია, რომ საქართველომ არასდროს და არაშემთხვევაში არ უნდა იქონიოს ევროპის დახმარების იმედი, — მეუბნება ლევან ფაღავა. — ჩემთვის ცნობილია, რომ თბილისში ახალგაზრდულ მიტინგებზე ხშირად გაისმის ხმა ერთა ლიგისადმი მიმართვის თაობაზე, ევროპულ, ამერიკულ ორიენტაციაზე. საქმეში ამერიკელ სენატორებსაც რევენ. ყველაფერი ეს უნაყოფო ილუზიაა. ევროპას ჩვენთვის არ სცალია. არც ეპიტნავება ჩვენი ტკივილები“.

ოციანი წლების მეორე ნახევარი უკიდურესად მძიმეა ქართველ ემიგრანტთა ისტორიაში. სამშობლოში სწრაფი დაბრუნების ილუზიები გაქრა. არავის არ გააჩნდა სახსარი ცხოვრებისა. თითო-ოროლა თუ ახერხებდა ეშოვა მძიმე შავი სამუშაო. აღებულ გროშებს ინაწილებდნენ უმუშევარნი და დამშეულნი.

მძიმე ცხოვრებას ზედ დაერთო ტრაგიკული მოვლენები. მოკლეს ნოე რამიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი. თავი მოიკლა სამშობლოში დაბრუნებაზე იმედგაცრუებულმა კარლო ჩხეიძემ. ოდეონის მოედანზე კაფე „ვოლტერში“ დატრიალდა სამწუხარო ტრაგედია — მხარეთა კამათის ეგზალტაციას შეეწირა რამდენიმე ქართველი. 1934 წელს საფრანგეთის მთავრობამ გააუქმა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ლეგაცია...

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მოუწყობლობისა და დიდი ტკივილების წლებში იღებს სათავეს ემიგრანტ ქართველთა შემოქმედებითი მოღვაწეობა და იგი სწრაფ აღმავლობას განიცდის. ზედიზედ გამოდის ახალ-ახალი სახელწოდების გაზეთები, ჟურნალები. ერთხელ პოეტ სიმონიკა ბერეჟიანს უხუმრია — ყოველ ორ პარიზელ ქართველზე ერთი ჟურნალი ან გაზეთი მაინც მოდისო“. არის სიმართლის ნაწილი ამ ხუმრობაში. გაზეთები — „ბრძოლა“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „საქართველოს გუშაგი“, ჟურნალები — „ბედი ქართლისა“, „კავკასიონი“, „ორნატი“, „პრომეთე“, „კავკასი“, „სამშობლო“, „ქართლოსი“, „მხედარი“, „ბრძოლის ხმა“, „თავისუფლების ტრიბუნა“, „ივერია“, „გუშაგი“, „ჩვენი დროშა“ და სხვანი ქართველ ლტოლვილთა შემოქმედებითი წვის ნათელი მოწმობაა. ისიც საგანგებოდ სათქმელია, რომ ამ გაზეთთა და ჟურნალთა დიდი უმრავლესობა ემიგრანტთა შემოწირულების ხარჯზე გამოდიოდა, მათი ყოველთვიური დანაზოგით ახერხებდა არსებობას.

ამავე პერიოდს ახასიათებს არა მარტო პერიოდული პრესის, არამედ ცალკეულ მეცნიერულ და პუბლიცისტურ ნაშრომთა სიუხვე. ზედიზედ გამოდის წიგნები სასიქადულო ემიგრანტი მეცნიერებისა (ზურაბ ავალიშვილი, მიხაკო წერეთელი, ვიქტორ ნოზაძე, შალვა ბერიძე, ისიდორე მანწკავა, ალექსანდრე მანველიშვილი და სხვანი). მრავალფეროვანია პოლიტიკური პუბლიცისტიკა. თითქმის ყოველწლიურად ცალკე წიგნად იბეჭდება ნ. ჟორდანიას ნაწერები („რა მოხდა“, „ბრძოლის საკითხები“, „პოლიტიკა“, „დემოკრატია“, „ახალი ნაწერები“, „რჩეული ნაწერები ემიგრაციაში“ და სხვ.). იბეჭდება ნოე რამიშვილის, სპირიდონ კედიას, დავით ვაჩნაძის, გრიგოლ ერაძის, ალ. ასათიანის, რ. გაბაშვილის, გრ. კერესელიძის, ივანე და ლევან ზურაბიშვილების ცალკე წიგნები საქართველოს კულტურული წარსულის, რევოლუციური მოძრაობის, პოლიტიკურ პარტიათა ისტორიის შესახებ. ემიგრანტთა პირველი თაობის წარმომადგენლებს მოგონებათა შექმნის ჟამი დაუდგათ. პირველ რიგში აღსანიშნავია კაკი წერეთლის ორტომეული „თებერვლის რევოლუცია“, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი 1917 წლის რუსეთი და თვით წერეთლის მოღვაწეობა პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატობის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. თავიანთი ცხოვრებისა და პოლიტიკური საქმიანობის შესახებ მოგვითხრობენ ნოე ჟორდანია („ჩემი წარსული“), რ. გაბაშვილი, ვ. ჩუბინიძე, გენერალი კვინიტაძე, პავლე სარჯველაძე, კ. გვარჯალაძე, კონსტ. კანდელაკი, ვლასა მგელაძე, ალ. სულხანიშვილი და მრავალნი სხვანი.

ნაშრომებს და განსაკუთრებით მემუარულ ლიტერატურას რომ ეცნობი, თვალში საცემია მკვეთრი პარტიული გამიჯნულობა, ზოგჯერ ზღვარსგადაცილებული კრიტიკა მოწინააღმდეგე ბანაკისა. ეროვნული დემოკრატები აბიაბრუებენ სოციალ-დემოკრატების მთელ წარსულს, და საქმეს ისე წარმოგვიდგენენ, თითქოს მათმა არათანამიმდევრობამ და მცდარმა გეზმა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში დაღუპა დემოკრატიული საქართველო, განაპირობა მარცხი 1924 წლის აჯანყებისა. ვალში არც სოციალ-დემოკრატები რჩებიან და ყოველმხრივ ცდილობენ დაასაბუთონ საკუთარი პლატფორმის მიზანშეწონილობა.

30-იანი წლების დამდეგიდან ემიგრაციაში ფართო კამათი გაჩაღდა კავკასიის ფედერაციის შესახებ. კავკასიის თავისუფალ ერთა ფედერაციული გაერთიანების იდეას ყველა მხარდაჭერით შეხვდა, მაგრამ საზოგადოებრიობა აღაშფოთა ჟურნალ „კავკასის“ პოზიციამ ამიერკავკასიის ფედერაციის სამხრეთი საზღვრების თაობაზე.

ამ ჟურნალის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და რედაქტორი მთიელი მუსლიმი ჰაიდარ ბამატი დაჟინებით შეუდგა იმის მტკიცებას, რომ ამიერკავკასია-თურქეთის საზღვარი ბრესტის საზავო ხელშეკრულების მუხლებით უნდა დადგინდესო. ბამატის ამ თურქოფილურ პოზიციას ზოგიერთი ქართველი მეცნიერიც აჰყვა. კამათმა მეტად ცხარე ხასიათი მიიღო. საქართველოს სამხრეთი საზღვრების საკითხს მნიშვნელოვანი გამოკვლევები უძღვნეს ვიქტორ ნოზაძემ, ა. მანველიშვილმა, შ. ამირეჯიბმა, კალე სალიამ, მ. ქავთარაძემ და სხვებმა, რომლებმაც დამაჯერებლად უჩვენეს საქართველოს საზღვრების აღდგენის სამართლიანობა პირველი მსოფლიო ომის წინა ჩარჩოებში.

საგანგებო კვლევას საჭიროებს ქართველ ემიგრანტთა პოზიცია და წვლილი მეორე მსოფლიო ომში. ჩვენში დღემდე საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისით, ემიგრანტთა ერთი მცირე ნაწილი ფაშიზმს მიეკედლა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში. ისინი სამშობლოს მოღალატეებად არიან მიჩნეულნი. მასალების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ეს თვალსაზრისი ცალმხრივია და მცდარი. მოვლენათა მსვლელობას სხვა კუთხიდანაც უნდა შევხედოთ.

უდავოა, რომ ემიგრანტთა ნაწილმა მართლაც გამოცადა ფაშისტური პროპაგანდის ერთგვარი ზეგავლენა. პარიზში შეიქმნა ერთი პატარა ჯგუფი (შ. მაღლაკელიძე, ვიქტ. ნოზაძე, მიხ. კედია, კ. სალია და სხვები), რომელთაც ეროვნული ერთობის დარაზმულობის („თეთრი გიორგის“) ორგანიზაცია საქართველოს დარაზმულობის ახალ ორგანიზაციად გადააკეთეს და საკუთარი ჟურნალი („ქართლოსი“) გაიჩინეს. რა თქმა უნდა, ეს ჯგუფი ეროვნული განთავისუფლების ჭეშმარიტ გზას ასცდა. მაგრამ ფაშიზმს ისინი ერთ ხანს თანაუგრძნობდნენ მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის საშუალებას. ჰიტლერულ პროპაგანდისტებისაგან ამის დაპირება ჰქონდათ კიდეც. ცხადია, ამ ახალგაზრდებმა 1937 წელს ჯერ კიდევ არ იცოდნენ და არც შეიძლებოდა ცოდნოდათ, თუ საქართველოს დაპყრობის როგორი ვერაგული საიდუმლო გეგმა მუშავდებოდა ჰიტლერის უმაღლეს მოხელეთა კაბინეტებში. ჟურნალ „ქართლოსის“ ფურცლებზე ისინი სისტემატურად იმეორებდნენ თავიანთი მისწრაფების კვინტესენციას: „ჩვენი ყიჟინაა — საქართველო უწინარეს ყოვლისა!“ საქართველოს იდეით განისაზღვრება ჩვენი მსოფლმხედველობა და ჩვენი მოღვაწეობაც. სიტყვისაგან: — საქართველო უწინარეს ყოვლისა! გამომდინარეობს ჩვენი დარაზმულობა და ამ დარაზმულობის ბრძოლაც...

ქართველი ერის სიმდიდრე და მისი მასაზრდოებელი მიწაა. მიწა უნდა მიეკუთვნოს მიწათმოქმედს: მიწაზე კერძო საკუთრების უფლება შეკავშირებულია ერის წინაშე მოვალეობასთან. ქართველებსა და აფხაზებს გარდა სხვას მიწის ყიდვა აკრძალული ექნება. საქართველოს საზღვრები უნდა გაქართულდეს („ქართლოსი“, 1936).

საქართველოს მომავლის ამ რომანტიკულ გააზრებას ილუზიის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ იგი ჭირისუფლურია.

ფაშისტური გერმანია რომ საბჭოთა კავშირს თავს დაესხა, ამ ჯგუფმა სცადა ქართველ ტყვეთაგან საჯარისო ნაწილების შედგენა. ერთი ასეთი ქართული ნაწილი, როგორც ცნობილია, მოქმედებდა კიდეც ჩრდილოეთ კავკასიაში. რა თქმა უნდა, ქართველთა მონაწილეობას ომში ფაშისტური გერმანიის მხარეზე მოვლენათა მსვლელობისათვის არავითარი კვალი არ დაუმჩნევია. მაგრამ ამ ჯგუფმა ბევრი კეთილშობილური საქმე გააკეთა, —იხსნა ათასობით ქართველ ტყვეთა სიცოცხლე, ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკებისაგან დაიფარა ასევე ათასობით ებრაელი. საბჭოთა რუსეთის მიმართ ჰიტლერული გერმანიის გეგმები რომ გამჟღავნდა, ამ ჯგუფის დამოკიდებულება ფაშიზმისადმი გაცივდა და იგი საერთოდ ჩამოცილდა ამ მიმართულებით საქმიანობას. მეორე მსოფლიო ომში ქართული ემიგრაციის პოზიციის ასახსნელად დიდძალი მასალაა შემონახული.

ომის შემდეგ პარიზის ქართულ სათვისტომოს თანდათან ეთხოვებოდნენ ემიგრაციის პირველი თაობის წარმომადგენლები და სამუდამო განსასვენებელს პოვებდნენ ლევილის სასაფლაოზე. ემიგრაცია, როგორც პოლიტიკური ფენომენი, გაქრა. მისი დღევანდელი შემადგენლობა ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის საქმეს ემსახურება, განზე დგას პოლიტიკისაგან, მიესალმება საჯაროობისა და დემოკრატიზმისკენ საბჭოთა ქვეყნის შემობრუნებას, მიაჩნია, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მრავალ წარმატებას მიაღწია, მაგრამ შიშობს, რომ მოთხოვნათა მაქსიმალიზმს უარესი შედეგი არ მოჰყვეს, იმ თვალსაზრისზე დგას, რომ საბჭოთა ფედერაციის ახლებური გაგების ვითარებაშიც შეიძლება თანამიმდევრული, მშვიდობიანი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენ ძლიერ ზოგადად, თვალის ერთი გადავლებით მოვხაზეთ პარიზის ქართული სათვისტომოს განვლილი გზა, ისე, რომ არაფერი გვითქვამს სხვა საზღვარგარეთელ სათვისტომოთა შესახებ. საქართველოდან 1921-1924 წლებში გახიზნულნი და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უნებლიეთ მიმოფანტული ქართველობა მრავლადაა მიუნხენში, ლონდონში, რომში, ბრიუსელში, ჟენევაში, კონსტანტინეპოლში, დასავლეთის ნახევარსფეროს რიგ ქვეყნებსა და ქალაქებში ყველა წესით თუ უნებლიეთ გადახვეწილი დედასაქართველოზე ფიქრით სულდგმულობდა და სულდგმულობს, შესაძლებლობის ფარგლებში მისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებდა და აკეთებს. ამრიგად, გვაქვს უდიდესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც მეცნიერებისა და კულტურის მრავალ დარგს მოიცავს და რომელიც საგანგებო შესწავლას საჭიროებს. ერთი რამ შეიძლება წინასწარ ითქვას: საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შეფასებაში ემიგრანტულ ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისები გასაოცრად ემთხვევა ჩვენეულ ახალ თვალსაზრისებს, ძველი სტერეოტიპების მსხვრევის შემდეგ რომ იდგამს ფეხს პუბლიცისტიკასა თუ ისტორიოგრაფიაში. ქართული ემიგრაციის ისტორია საბჭოური ეპოქის საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია. მისი გათვალისწინების გარეშე ჩვენი ისტორია საშინლად ღარიბი და ერთფეროვანი იქნებოდა.

საქართველოს ისტორიის უახლესი ისტორიის სპეციალისტებმა დაუყოვნებლივ უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს. მაგრამ კერძო თაოსნობანი დიდ ნაყოფს ვერ გამოიღებს. მიზანშეწონილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ ეს პრობლემა სამუშაო გეგმაში შეიტანოს და შერჩეულ ავტორებს შესაძლებლობაც მისცეს უფრო დაწვრილებით, ჩაღრმავებით შეისწავლონ და გაიაზრონ საზღვარგარეთელ ქართველთა ნამოღვაწარი.

ეს დიდი საქმე პარიზში მოღვაწე ქართველთა თანადგომით უნდა სრულდებოდეს. დიდ პერსპექტივას ამ მხრივ გვიქმნის ქართულ-ევროპული ინსტიტუტი პარიზში. იგი ჯერ კიდევ ახალფეხადგმულია, ნელი ფორმირების პროცესშია, მაგრამ მისი ენერგიული თაოსნები ჯანრი კაშია, დიპლომატურ ასპარეზზე მოღვაწე ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, ხელოვანი (ოქრომჭედელი) გუჯი ამაშუკელი, საიმედო გარანტიაა დაწყებული საქმის წარმატებისა. პირველი შთაბეჭდილება რომელიც შეგვექმნა ამ ინსტიტუტში ყოფნისას, დიდ ოპტიმიზმს აღძრავს: აქ თავმოყრილია თითქმის ყველა გაზეთი, ჟურნალი, თუ ცალკე წიგნი, რომელიც კი ემიგრაციის წლებში შექმნილა პარიზსა და სხვა ქალაქებში. თავად ჯანრი ფრიად განსწავლული და ორიგინალური თვალსაზრისის მქონე მკვლევარია, რომელსაც ქართული კულტურის სხვადასხვა პრობლემებზე უკვე შეუქმნია მონოგრაფიული ნაშრომები. იგი უახლესი სისტემის კომპიუტერით მუშაობს და მისი ნაყოფიერება ერთ ჩვეულებრივ გამომცემლობას გადაწონის. აუცილებელია ამ ახალგაზრდა პერსპექტიულ მკვლევართან და მისი თაოსნობით შექმნილ ინსტიტუტთან მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა.

ერთი კერძო საკითხიც უნდა დავაყენო: საზოგადოებრიობას ეუწყა, რომ პარიზიდან ჩამოტანილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივი. პარიზში ყოფნისას გავარკვიეთ, რომ აქ ჩამოტანილი არქივი სრული არ ყოფილა. არც ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცული არქივია სრული, ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები ამ პერიოდისა, დაახლოებით სამი ყუთი, ინახება ლევილში. მას ზედამხედველობს გამგეობა, ის პირადად აბარია მამია ბერიშვილს. პარიზში მყოფ ბევრ ქართველ მოღვაწეს უცდია თურმე ამ არქივის თბილისში ჩამოტანა, მაგრამ ამაოდ. ამაო გამოდგა ჩვენი არაერთგზის თხოვნაც ამ არქივის გადმოცემის შესახებ. მამია ბერიშვილს მიაჩნია, რომ არქივის გადმოცემა ვერ მოხდება კერძო მოხალისეთა დონეზე. ეს სახელმწიფოებრივი საქმეა და გამგეობა თავის სხდომაზე ამ საკითხს დააყენებს მაშინ, თუ იქნება ოფიციალური მომართვა საქართველოს მთავრობისა, თბილისის უნივერსიტეტისა თუ სამეცნიერო აკადემიისა. გამგეობის დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ პარიზში უნდა გაიგზავნოს სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც ამ არქივის მიკროფირებს გადაიღებს, ერთ ცალს დაუტოვებს ლევილის გამგეობას, ხოლო დედნების საქართველოს არქივისათვის ჩაბარება მოხდება გამგეობის წევრის თანდასწრებით. წამოყენებული პირობები, ვფიქრობ, სამართლიანია. ახლა საქართველოს მთავრობას და რესპუბლიკის წამყვან დაწესებულებებს მართებთ ჩაერიონ ამ საქმეში, რომ ეს უნიკალური დოკუმენტები დაუბრუნდეს სამშობლოს და ხელმისაწვდომი გახდეს ჩვენი მეცნიერებისათვის.

აკაკი სურგულაძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

* * *



სურათებზე: პარიზის ხედები; ქართველები ლევილში.

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესასრულებლად

დიდი გზის დასაწყისი

უცნაურმა მაკეტმა ოთახში შესვლისთანავე მიიპყრო ჩვენი ყურადღება: თითქოს სახლიაო და არცა ჰგავს სახლს. ეგეც არ იყოს, გაგვიკვირდა, სად გამსახკომი და სად შენობათა მაკეტები... ცნობისწადილის დასაოკებლად **რევაზ ღლონტს** — საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარეს ჩვენი სტუმრობის მიზეზი ვაუწყეთ.

საქმე ისაა, რომ იმ დღეს გამსახკომში ქართული ენის სახელმწიფო პროგრამას იხილავდნენ, მისი განხორციელების გზები უნდა დაესახათ, რისთვისაც კოლეგიის სპეციალურ სხდომაზე გამომცემლობათა, პოლიგრაფიულ საწარმოთა დირექტორები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები მოიწვიეს.

თავიდანვე იგრძნობოდა: საუბარი მკაცრ და საქმიან, პრინციპულ ხასიათს მიიღებდა: გასაკვირი არცაა, სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში ლომის წილი გამსახკომსაც უძევს, რადგან სწორედ აქ უნდა მოიყაროს თავი სხვადასხვა სამეცნიერო თუ კვლევითი დაწესებულებების, ორგანიზაციების ნაღვაწმა, შემდეგ დამუშავდეს, დაიხვეწოს ისინი, გადანაწილდეს გამომცემლობებისა და სტამბების მიხედვით და, ბოლოს, დაიბეჭდოს კიდეც. ეს კი, ცხადია, მრავალ პრობლემასთანაა დაკავშირებული.

თუკი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის, ამ უზარმაზარი და საშური საქმის განხორციელება გვსურს, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც უნდა გაგვაჩნდეს.

ამასთან დაკავშირებით რევაზ ღლონტმა თქვა: ახლახან ეს საკითხები რესპუბლიკის მთავრობის წინაშე დავაყენეთ. მოვითხოვეთ უახლესი თანამედროვე ტექნიკის, კერძოდ, ფერადამყოფი მანქანის, სამკინძაო ხაზის შეძენა. სხვათა შორის, ამ დანადგარებს სამამულო და სოციალისტური ქვეყნების საწარმოები არ უშვებენ. ასე, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან მოგვიწევს ურთიერთობის დამყარება. საქართველოს მთავრობამ ამის შესახებ უკვე მიიღო დადგენილება. ამას გარდა, გაისად ვვარაუდობთ დავდგათ საბჭოთა წარმოების კომპიუტერული საამწყობო მანქანები, რომლებსაც ქართული შრიფტი ექნებათ და ქართულადვე „იაზროვნებენ". აქამდე ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ამა თუ იმ გამოცემის განმეორებით დაბეჭდვას. შეადარეთ: ამგვარი გამოცემები ჩვენთან 15-16 პროცენტს შეადგენდა, უცხოეთში კი 60-70 პროცენტს. ეს დაბალი მონაცემი მრავალი პრობლემითაა განპირობებული. ლინოტიპზე აწყობილ მასალას სტამბა დიდხანს ვერ ინახავს, ამისათვის არც ფართობი კმარა და არც მასალა. ახლა კი, კომპიუტერული მეხსიერებიანი საამწყობო მანქანა საშუალებას მოგვცემს სასურველი ვადით შევინახოთ იგი და საჭიროების შემთხვევაში გავიმეოროთ კიდეც ესა თუ ის გამოცემა. ეს სიახლე სხვა მხრივაც მეტად ხელსაყრელია. კერძოდ, გამომცემლობები თვითონვე შეასრულებენ სამუშაოებს: მასალას გამოსაცემად გაამზადებენ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიტანენ სტამბაში უკვე მზა პროგრამას დასაბეჭდად.

განზრახული გვაქვს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის რეკონსტრუქცია, იგი უნდა გაფართოვდეს, მისი ტექნოლოგიური ხაზები განახლდეს და ა. შ. რაც შეეხება ქაღალდს, ეს საკავშირო პრობლემაა და, ვფიქრობთ, იგი მალევე გადაწყდება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის პოლიგრაფიული საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი მართლაც რომ ვერ გვამარაგებს კვალიფიციური კადრებით;

ამასთან დაკავშირებით სხდომაზე გამოითქვა აზრი: ეს სასწავლებელი დაექვემდებაროს უშუალოდ გამსახკომს და მანვე დაგეგმოს, რა რაოდენობის და როგორი კვალიფიკაციის სპეციალისტები მოამზადოს სამომავლოდ.

სხდომაზე გულდაგულ იმსჯელეს პოლიგრაფიულ საწარმოთა დღევანდელ მდგომარეობაზე. ამით ერთხელ კიდევ შეამოწმეს თავიანთი შესაძლებლობანი; ერთხელ კიდევ, დიდი საქმის წინ, აწონ-დაწონეს უნარი, განახორციელონ სახელმწიფო პროგრამის შესრულება და, როგორც გამსახკომის თავმჯდომარემ განაცხადა, ამაში ეჭვიც არავის უნდა შეეპაროს — პროგრამა შესრულდება, საქმე უკვე დაწყებულია კიდეც. პროგრამით გათვალისწინებული მრავალი გამოცემა მზადაა დასაბეჭდად, ზოგიც ახლა მზადდება, ამ საკითხებზე კოლეგიის მონაწილეთ ესაუბრნენ გამომცემლობების „განათლების", „მერნის", „ნაკადულის", „საბჭოთა საქართველოს", „ხელოვნების", ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დირექტორები, მთავარი რედაქტორები, რომელთაც აღნიშნეს, რომ გათვალისწინებულია მომზადდეს და დაისტამბოს ქართული ენის აკადემიური კურსი, ქართული ენის ისტორიული, აგრეთვე განმარტებითი ლექსიკონები, სხვადასხვა დანიშნულების სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სასაუბროები, თვითმასწავლებლები და ა. შ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასკოლო სახელმძღვანელოების, დამხმარე ლიტერატურის მაღალ პროფესიულ დონეზე მომზადებისა და გამოცემის საკითხებს. მართლაც, რახანია არ შეგხვედრია ქართულ ენაზე შედგენილი რუკები და ატლასები. სახელმძღვანელოებიც თითქმის ხელახლაა დასაწერი.

სასკოლო ბიბლიოთეკამ ერს თაობები უნდა აღუზარდოს. ამიტომაცაა, ასე დიდ ყურადღებას რომ უთმობენ მას დღეს. ამ მიზნით გამსახკომი სერიოზულ მუშაობას ეწევა, აქ განზრახული აქვთ დაამუშაონ და გამოსცენ ქართული ხალხური შემოქმედების კრებული, ცალკე გამოჰყონ მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის ქართული ენისა და ლიტერატურის ბიბლიოთეკა; ამასთან უნდა გააქტიურდეს არაქართულენოვან ლიტერატურაზე მუშაობაც. სხვადასხვა ენებზე უნდა დაიბეჭდოს ქართველ შემოქმედთა ნაწარმოებები, საქართველოს ისტორია და ა. შ. საამისოდ საჭიროა ერთ-ერთ გამომცემლობასთან შეიქმნას სპეციალური რედაქცია, რომელიც ამ სახით გასწევს ქართული კულტურის პროპაგანდა-პოპულარიზაციას.

გასაკეთებელი სწორედ რომ ბევრია. ამიტომაც ჩქარობენ გამსახკომში, მის გამომცემლობებში, პოლიგრაფიულ საწარმოებში, რათა მოაგვარონ ორგანიზაციული საკითხები, შექმნან საგანგებო სამუშაო ჯგუფები, რომლებიც გააკონტროლებენ სახელმწიფო პროგრამის შესრულების მიმდინარეობას, ამტკიცებენ ამა თუ იმ გამოცემათა გამომცემლობებზე განაწილებისა და დაბეჭდვის ვადებს, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში დიდი როლი იმ დაწესებულება-ორგანიზაციებს, სამეცნიერო ინსტიტუტებს აკისრიათ, რომლებმაც ეს დედნები უნდა მოამზადონ. სწორედ მათ მიერ წინდაწინ განსაზღვრულ, მტკიცე ვადებზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად და ხარისხიანად იმუშავებს ამ დიდი სახელმწიფოებრივი პროგრამის განმახორციელებელი ბოლო საფეხური — გამსახკომი.

სხდომის დამთავრების შემდეგ ისევ შენობის მაკეტმა შეგვახსენა თავი და რევაზ ღლონტს ვთხოვეთ მოეთხრო მის შესახებ.

გამოირკვა, რომ იგი იმ პავილიონის ასლია, რომელშიც მოსკოვის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე ქართულმა გამომცემლობამ დაიდო ბინა. ბაზრობა 12 სექტემბერს გაიხსნა და მასში მსოფლიოს 100-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. როგორც აღვნიშნეთ, საქართველო აქ დამოუკიდებლად, ცალკე პავილიონადაა წარმოდგენილი.

წლეულს გამოფენაში სიახლეა. აქ არა მარტო გაეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის ბეჭდვითი საქმის ხელოვნებასა და ოსტატობას, არამედ შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ ან გაყიდონ ესა თუ ის გამოცემა, პოპულარიზაცია გაუწიონ თავიანთი ქვეყნის კულტურას.

ქართველი გამომცემლები მოსკოვის გამოფენაზე წარსდგნენ ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურით, აგრეთვე სამეცნიერო, ტექნიკური და საბავშვო გამოცემებით.

როგორც რევაზ ღლონტმა აღნიშნა, ჩვენი პავილიონი ისეა მოწყობილი, რომ იგი მნახველთა, კომერსანტთა დაინტერესებას იწვევს.

ჩვენც ეს გვინდა: ქართულმა წიგნმა მოიაროს მსოფლიო, მსოფლიომ კი შეიყვაროს იგი.

სოსო გალაშვილი.

დრო და ხელოვანი

მონატრებით ნათქვამი

სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი კონცერტი გამართა საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრმა „რერო". მაშინ ამ ფაქტისადმი მიძღვნილ რეცენზიაში კომპოზიტორი დავით თორაძე წერდა, რომ კოლექტივის დაბადება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში, და აღნიშნავდა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა ორკესტრის ახალგაზრდა მომღერალი ლილი გეგელია, რომლის სახით ესტრადამ შეიძინა ქართული სიმღერებისა და რომანსების ნიჭიერი შემსრულებელი. არ შემცდარა კომპოზიტორი...

ლილი გეგელიამ იმთავითვე მოიპოვა პოპულარობა და სულ მოკლე ხანში თავისი თბილი, განსაკუთრებული ტემბრის ხმით ქართული სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი-ინტერპრეტატორი გახდა, იმდენად, რომ ქართველი და შემდგომ რუსი კომპოზიტორებიც საგანგებოდ მისთვის წერდნენ სიმღერებს. ასე შეიქმნა ლ. იაშვილის „ია, ია", გ. ცაბაძის „ლალე", ო. თევდორაძის „მოსკოვის ჩირაღდნები", ე. კალმანოვსკის „ჩვენს ქალაქში წვიმაა", ლ. ლიადოვას „ფისუნია", ბ. რაიკოვის „რომელი ზღაპრიდან ხარ"...

პოპულარობა სწორედ ის სიტყვაა, რომელსაც შეუძლია მომღერლის ადგილი განსაზღვროს ჩვენს მუსიკალურ სამყაროში და მის თაყვანისმცემლებს შორის.

სამი-ოთხიოდე წლის შემდეგ მას უკვე კარგად იცნობდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირის ქალაქებში, არამედ უცხოეთშიც: პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, ბელგიაში, ინგლისში, შოტლანდიაში, ჰოლანდიაში... მღეროდა ევროპაში აღიარებულ საესტრადო ორკესტრთან. იმხანად უცხოეთში გასვლა მხოლოდ რჩეულთ შეეძლოთ. სხვათა შორის, ლილი გეგელია საესტრადო ჟანრში პირველი სოლისტი მომღერალი იყო, საქართველოდან რომ უცხოეთში მიიწვიეს. პოლონეთში ქართულთან ერთად პოლონური, ჩეხოსლოვაკიაში კი ჩეხური სიმღერების შესრულებით ხიბლავდა მსმენელებს. „ლილი გეგელიას, ქართული ესტრადის ამ ცნობილი და პოპულარული ოსტატის ყოველი გამოსვლა დიდებული და ბრწყინვალეა", — ასე ეხმიანებოდა ერთ-ერთი ჩეხური გაზეთი მის ხელოვნებას.

ეს ფრაგმენტები კი ინგლისური პრესიდან არის: „მომხიბლავი ლედი საქართველოდან ისე გულში ჩამწვდომად მღეროდა, რომ მაყურებელი აღარ უშვებდა სცენიდან"... „კონცერტის ერთ-ერთი მშვენება იყო ლილი გეგელია, შავთვალა, ლამაზი ქალი... მან შეასრულა ქართული სიმღერები და მის ხმას სხვას ვერ უნოდებ, თუ არა ხავერდოვანს".

რა დაავიწყებს ქალბატონ ლილის ერთ ბარათს, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ყოფნისას მიიღო. „მოხუცი ვარ, ავადმყოფი, სარეცელს მიჯაჭვული, — წერდა ავტორი, — თქვენი გამოსვლა მხოლოდ ტელევიზიით მოვისმინე, კონცერტზე დასწრება კი ავადმყოფობის გამო არ შემეძლო. მე ისე მომეწონა თქვენი სიმღერები, რომ ძალიან მსურს, თუ ინებებთ, მეწვიოთ შინ და პირადად გაგიცნოთ. შეიძლება განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობის კვალობაზე ღირსეულად ვერ დაგიხვდეთ, მაგრამ იმედია, არ გამანბილებთ". ბარათს ხელს აწერდა ცნობილი მეცნიერი, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ზდენეკ ნეედლი. ლილი გეგელია მეცნიერს შინ ეახლა და საკუთარი ფირფიტაც აჩუქა. ცრემლმორეული მასპინძელი დიდხანს უხდიდა მადლობას სტუმრობისათვის. ამგვარი მაგალითების გახსენება მრავლად შეიძლება.

მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ 50-იანი წლების მიწურულს, როცა ჩვენს ესტრადას არცთუ ისე მრავლად ჰყავდა სოლისტები, ლილი გეგელია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომლის წყალობითაც ქართულმა საესტრადო სიმღერამ გზა გაიკაფა და დღემდე მოაღწია.

შესრულების ინდივიდუალური, კეთილშობილური მანერა და სტილი, დახვეწილი საშემსრულებლო გემოვნება, ნიუანსების მდიდარი პალიტრა, — აი, მისი შემოქმედების განმსაზღვრელი თვისებები, აი, რით ხიბლავდა მსმენელს მისი ხელოვნება...

რეპერტუარში მუდამ ჰქონდა რ. ლაღიძის, ბ. კვერნაძის, გ. ცაბაძის, ს. ცინცაძის, ო. თევდორაძის, ნ. გიგაურის, ლ. იაშვილის, შ. მილორავას სიმღერები.

ლირიკული მომხიბლაობით ასრულებდა მომღერალი ძველ რუსულ რომანსებს. ამ რეპერტუარით იგი არაერთხელ წარმოჩინდა რომანსისადმი საგანგებოდ მიძღვნილ ტელეგადაცემებშიც.

რადიოსა და ტელევიზიის ფონდში ინახება მომღერლის ასამდე სიმღერის ჩანაწერი. [illegible] სიმღერების საუკეთესო შესრულებისათვის კი იგი 1962 წელს საკავშირო რადიოს ფესტივალის ლაურეატი გახდა. მომღერალმა მუსიკალურად გააახმოვანა რამდენიმე ქართული მხატვრული ფილმიც.

ლილი გეგელიას ხელოვნება სიყვარულსა და პატივისცემას იწვევდა და იწვევს. ეს პატივისცემა გამომდინარეობს იმ ღვაწლიდან, რომელიც მას მიუძღვის ქართული ესტრადის, ქართული სიმღერის წინაშე. მის შემოქმედებაზე, მის ღვაწლზე ყოველთვის დაუზარებლად და დიდი სიყვარულით შეიძლება წერა, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ და ვთქვათ, რომ ამჯერად მონატრების სურვილმა თუ უკმარობის გრძნობამ დაგვაწერინა ეს წერილი.

ამას წინათ რადიოში კვლავ გაისმა მისი ხმა და უეცრად ნოსტალგია მომეძალა. იქნებ საჭიროა უფრო ხშირად გამოჩნდნენ ესტრადის შედარებით ძველი მშვენებანი, გამოჩნდნენ არა მარტო რეტროთი, არამედ ახალი სიმღერებითაც? განა საინტერესო არ იქნება, როგორ მოირგებენ ახალ „სამოსელს" გამოცდილი მომღერლები? ამით ახალს არაფერს ვამბობთ, საამისო გამოცდილება უკვე არსებობს... ამის გარდა მომღერალი თავად არის რამდენიმე სიმღერის ავტორი: „გელათი", „ანანურის იქსპრომტი", „მოდიოდა ნინო მთებით", „უფლისციხესთან", „შენს ბაღნარში"... ამ სიმღერებს დღეს წარმატებით ასრულებენ სოლისტები თუ ანსამბლები. მისი ფიქრი კი კვლავ ახალ სიმღერებს დასტრიალებს.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

საქდესი იუწყება

უცხოეთში — 10 ოქტომბერი

● შვეცია

[illegible] მიენიჭათ ნობელის პრემია

სტოკჰოლმი. 1989 წლის ნობელის პრემია ფიზიოლოგიისა და მედიცინის სფეროში მიეკუთვნათ ამერიკელ მკვლევარებს მაიკლ ბიშოპსა და ჰაროლდ ვერმახს.

ეს გამოაცხადა შვეციის სამედიცინო მეცნიერების წამყვანი დაწესებულებების — კაროლინის სამედიცინო-ქირურგიული ინსტიტუტის ნობელის კომიტეტმა. მეცნიერთა მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც ჯილდოთი აღინიშნა, არსებითად ავსებს მეცნიერულ ცოდნას კიბოვანი სიმსივნეების წარმოშობის მექანიზმის შესახებ.

53 წლის მ. ბიშოპი და 50 წლის ჰ. ვერმასი მუშაობენ კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის განყოფილებაში.

● სამხრეთ კორეა

პრეზიდენტის განცხადება

ტოკიო. სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა რო დე უმ გაილაშქრა კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთიდან ამერიკის ჯარების გაყვანის წინააღმდეგ. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნა „ხელს უწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას" და „ორ კორეას შორის დიალოგის პროგრესს". რეჟიმის ზოგიერთი მოწინააღმდეგე, განაცხადა მან ერისადმი მორიგ რადიომიმართვაში, მოითხოვს ამერიკის შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ გაყვანას იმ საბაბით, რომ ისინი დაბრკოლებას წარმოადგენენ კორეის გაერთიანების გზაზე. რო დე უმ თქვა, რომ ასეთი თვალსაზრისი არასწორია იმის გამო, რომ თითქოს არსებობდეს „საფრთხე ჩრდილოეთიდან".

სეულის ადმინისტრაციის მეთაურმა ეს განცხადება გააკეთა შეერთებულ შტატებში თავისი ვიზიტის წინ.

● ინგლისი

ჟურნალისტთა გაფიცვა

ლონდონი. ბრიტანეთის ერთ-ერთი წამყვანი ბურჟუაზიული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის" ჟურნალისტებმა გამოაცხადეს 38-საათიანი გაფიცვა. ასეთი გადაწყვეტილება მათ მიიღეს გაზეთის მფლობელის, კანადელი ბიზნესმენის კონრად ბლეკის იმ განზრახვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელიც ითვალისწინებს მათი შრომის პირობების შეცვლას, აგრეთვე შტატების შემცირებას. კერძოდ, ნავარაუდევია „ახალი მოქნილი გრაფიკის" შემოღება. რომლის შედეგად ბევრ თანამშრომელს ხუთი დღის მუშაობის შემდეგ უქმე დღეებშიც მოუწევს მუშაობა.

● საფრანგეთი

რეზოლუცია უარყვეს

პარიზი. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუცია, რომელიც შემოიტანა რესპუბლიკის მხარდამჭერი მემარჯვენე გაერთიანების დეპუტატთა ჯგუფმა. მას ხმა მისცა 159 კაცმა. უმრავლესობას, რომელიც საჭიროა მისი მოწონებისათვის, შეადგენს 288 კაცს.

კენჭისყრამ გამოავლინა წინააღმდეგობანი მემარჯვენე ოპოზიციის ბანაკში. უნდობლობის რეზოლუციას მხარი დაუჭირეს მხოლოდ ეროვნული კრების რესპუბლიკის მხარდამჭერი მემარჯვენე გაერთიანების ჯგუფის დეპუტატებმა და საფრანგეთის დემოკრატიისათვის მებრძოლი კავშირის ჯგუფის ზოგიერთმა წარმომადგენელმა. ამ კავშირის დეპუტატთა უმრავლესობამ და აგრეთვე მთავრობისადმი ოპოზიციაში მყოფმა ცენტრისტებმა არ მოიწონეს დოკუმენტი.

ნდობის საკითხი მიშელ როკარის მთავრობამ ეროვნულ კრებაში დასვა 1990-1993 წლების სამხედრო პროგრამების შესახებ კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით. კონსტიტუციით, რახან უნდობლობის რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა უმრავლესობამ, მთავრობის კანონპროექტი პარლამენტის ქვედა პალატის მიერ ავტომატურად მიღებულად ითვლება.





ათონიდან — თბილისში

9 ოქტომბერს შუადღისას ათასობით კაცი შეიკრიბა თბილისის აეროპორტში: სრულიად საქართველო ეგებებოდა სანატრელ სტუმარს — ქრისტიანულ სამყაროში ივერიის ღვთისმშობლის სახელით ცნობილ ხატს.

აი, თვითმფრინავის ღია კარში გამოჩნდა ივერიის ღვთისმშობლის საოცრად ქართული, მშობლიური სახე. აციმციმდა სანთლების ზღვა, ხატის თანმხლებმა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მოღვაწეთა დელეგაციის წევრებმა იგი მოწიწებით ჩამოასვენეს ტრაპზე.

ხატი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის თხოვნით ათონელმა ბერებმა მოხატეს და ათონის მთაზე დაცული ცნობილი ივერიის ღვთისმშობლის ხატის ზუსტ ასლს წარმოადგენს. (მკითხველისათვის საინტერესო იქნება იმის შეხსენება, რომ იგი ათონის ივერთა მონასტრის კარის ღვთისმშობლის ხატის მეორე ოფიციალური ასლია. პირველი XVI საუკუნის რუსეთის პატრიარქ ნიკონის სახელს უკავშირდება და ამჟამად სოკოლნიკებში, მაცხოვრის აღდგომის ეკლესიაშია დაცული). მას თან ჩამოჰყვა ათონში მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა უკვდავი სახება, ბერძენი სამღვდელოების ლოცვა და ბერძენი ხალხის საუკუნეებში გამოტარებული ძმობა და სიყვარული.

ერმა იგი კელაპტრებითა და ეროვნული დროშებით ფეხით მიაცილა აეროპორტიდან სიონის ეკლესიამდე. ეს იყო დაუვიწყარი, შთამბეჭდავი სვლა...

...სიხარულით, ზეიმით აგუგუნდა სიონის ზარები. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II საზეიმო პარაკლისი გადაიხადა ერის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

* * *

სურათებზე: ივერიის ღვთისმშობლის ხატის ჩამოსვენება ტრაპზე; საზეიმო სვლა აეროპორტიდან სიონის ეკლესიამდე.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

ნანა ღვინეფაძე

ივერთა დედავ!

ნეტარო დედავ,
ნეტარო ხატო, —
არც დღე, არც ღამე
არ გეძინება.
სანატრელად გაქვს,
სანატრელად გაქვს
ტანჯული ქვეყნის
აღორძინება!..
ივერთა დედავ,
ქართველო ხალხო, —
არც დღით, არც ღამით
არ გვეძინება!
საოცნებოდ გვაქვს;
საოცნებოდ გვაქვს
ქართლოსიანთა აღორძინება...
ნეტარო დედავ,
ნეტარო ხატო,
საქვეყნო ტვირთი
არ გვემძიმება, —
ღმერთმა ინებოს,
ოღონდ ინებოს
ტანჯული ქართლის
აღორძინება.
ივერთა დედავ,
ივერთა ხატო...

ბარათი ერევნიდან

მადლობა ძმური დახმარებისთვის

საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა შეაშველა მხარი მიწისძვრით დაზარალებულ სომხეთს. მას ახლაც ხელშესახები წვლილი შეაქვს კარის მეზობლის ჭრილობების მოშუშებაში. რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებმა, პიონერთა ბანაკებმა მზრუნველად გაუღეს კარი დაზარალებული რაიონების ბავშვებს, ყველაფერი იღონეს მათი დასვენებისათვის, სიყვარული და სითბო არ მოაკლეს. ახლახან საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სომხეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარის მ. არუთინიანის ხელმოწერით ერევნიდან წერილი მიიღო, რომელშიც ნათქვამია:

სომხეთის პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, მთელი სომეხი ხალხი გულითად მადლობას უხდიან საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სამრეწველო საწარმოების შრომით კოლექტივებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, პიონერთა ბანაკების მუშაკებს, მიწისძვრისაგან დაზარალებული სომხეთის რაიონებიდან ბავშვების გულთბილი მიღებისათვის.

თქვენი რესპუბლიკის პიონერთა ბანაკებში სომეხი ბავშვების დასვენება, ჩვენი ხალხისათვის იმ ტრაგიკულ პერიოდში ძმური დახმარების, მაღალი ადამიანური ჰუმანურობისა და მეგობრობის დადასტურებაა.

გაივლის წლები, ჭრილობები მოშუშდება, სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული დანაკარგებით გამოწვეული ტკივილი ჩაცხრება. ჩვენი რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებს კვლავ აავსებს ბავშვთა ღიმილი და ჟრიამული. მაგრამ ბავშვების მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება ჩვენი ხალხების მეგობრობა, სითბო და მშობლიური მზრუნველობა, რომლითაც ისინი გარემოცულნი იყვნენ საქართველოს მიწაზე ყოფნის პერიოდში.

სომხეთის პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ერთხელ კიდევ დიდ მადლობას მოახსენებს რესპუბლიკის მშრომელებს, სომხეთიდან ბავშვების დასასვენებლად მიღებისათვის. მთელი რესპუბლიკის მცხოვრებლებს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, წარმატებებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნაში.

შემთხვევა

სტიქიას გამოსტაცეს

ოქტომბრის პირველ დღეს აფხაზეთის ზოგიერთ რაიონს თავს დაატყდა ძლიერი ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა. მთებიდან წამოსულმა ღვარცოფებმა, ქვალორომა გზები გადახერგა და დააზიანა.

სოხუმის გარეუბანში, სოფელ აჩადარაში, მდინარე გუმისთამ ნაპირები გადმოლახა. ეს ისე უცებ მოხდა, რომ წყალში შესული რამდენიმე მებადური და დამსვენებელი ხმელეთს მოწყვეტილი აღმოჩნდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა განგაში ატეხეს, დასახმარებლად მიმართეს გვერდით დისლოცირებულ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სპეციალურ ბატალიონს.

— შესანიშნავი ოპერატიულობა გამოიჩინა ბატალიონის შტაბის უფროსმა ლ. ვერიოვკამ, — გვითხრა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი პრესცენტრის ხელმძღვანელმა აფხაზეთში, შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკმა მ. საჩენკოვმა, — მან უმალ აცნობა ეს ამბავი შინაგანი ჯარების ოპერატიული ჯგუფის შტაბს, ისიც განუცხადა, რომ აპირებდნენ განწირულთა საკუთარი ძალებით ხსნას.

მალე ბატალიონის თითოეული ჯარისკაცი მზად იყო. ჯერ განიზრახეს საშიშ ადგილას ჯავშანტრანსპორტიორი შეეგზავნათ, მაგრამ წყლის დონე მატულობდა და ჯავშანტრანსპორტიორს თავისუფალი მანევრირების საშუალებას არ მისცემდა. ერთადერთი გამოსავალი ავიაცია იყო. დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის უფროსს. ვერტმფრენი, რომლის ეკიპაჟშიც შედიოდნენ უფროსი პილოტი ნ. ტარასოვი, მეორე პილოტი ქ. ავალიანი და ბორტმექანიკოსი ვ. ბუცხრიკიძე, რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილას გაჩნდა. მაგრამ მანამდე ბატალიონის ჯარისკაცებიც როდი ისხდნენ გულხელდაკრეფილი. მათ თოკების საშუალებით უკვე გამოეყვანათ ერთ-ერთი მოქალაქე ვ. კიკნაძე, ვერტმფრენმა კი თითქმის ჩაძირული „კუნძულიდან" ამოიყვანა სამი მებადური — ბ. ჯომიდავა, ო. ბარათელი, პ. კასია.

საგანგაშო სიგნალის მიღებიდან 37 წუთის შემდეგ ოპერატიული შტაბის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ვ. გორელოვმა შინაგანი ჯარების ოპერატიული ჯგუფის უფროსს აფხაზეთში, გენერალ-მაიორ ნ. ფედოსოვს ოპერაციის წარმატებით დამთავრება აცნობა.

გადარჩენილთა ახლობლები და მეგობრები გულწრფელ მადლობას უხდიან შინაგანი ჯარების ოპერატიული ჯგუფის პირად შემადგენლობას.

იოსებ გოგიჩაია,
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

ინთება რამპის ჩირაღდნები

თეატრი უხმობს ყმაწვილებს

პრემიერით, მ. თარხნიშვილის მუსიკალური სპექტაკლით „ბაბაჯანას ქოშები" (ი. გრიშაშვილის მიხედვით) გახსნა თავისი მორიგი თეატრალური სეზონი თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართულმა თეატრმა, სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ლ. პაქსაშვილმა, მუსიკა ეკუთვნის შ. დავითაშვილს, მხატვრულად გააფორმა ახალგაზრდა მხატვარმა გ. პაქსაშვილმა.

იმაზე, კიდევ რომელი პიესისა თუ ზღაპრის გმირებთან ელით წლეულს შეხვედრა ყმაწვილებს, გვესაუბრება თეატრის დირექტორი ვახტანგ მაღლაფერიძე.

წლევანდელი სეზონი, რიგით 55-ე, თეატრისთვის ერთგვარად საიუბილეოა. ამას თეატრის კოლექტივი აღნიშნავს გამოფენით. ჩვენთან მოსული ბავშვები ფოიეში უთუოდ თვალს გაადევნებენ თეატრის ისტორიას, აქვეა სცენები და ესკიზები საუკეთესო სპექტაკლებიდან.

ნოემბერში თბილისში ეწყობა პოლონური დრამატურგიის ფესტივალი, რომელშიც ჩვენი თეატრიც მიიღებს მონაწილეობას პოლონელი დრამატურგის ი. პოშნიცას „მწვანე ქოლგის" დადგმით (რეჟისორი ნ. იონათამიშვილი).

ცოტა მოგვიანებით კიდევ ორ პრემიერაზე ვეპატიჟებით ბავშვებს. რეჟისორი გ. სარჩიმელიძე მუშაობს მ. აბრამიშვილის პიესაზე „ხალხური ეთერიანიდან", ხოლო შ. ცუცქირიძე დგამს თ. გაბეს ზღაპარს „ბროლის ქოშს".

ამ ზაფხულს თეატრის კოლექტივი ეწვია ზემო სვანეთის სოფლებს და თავისი ხელოვნებით გაახარა იქაური ბავშვები. მალე გასვლითი სპექტაკლებით ვეწვევით ახალციხის რაიონში ჩასახლებულ აჭარლებს.

რეპერტუარში კვლავ რჩება წინა სეზონების საუკეთესო დადგმები: „ხეტიალა", „ექიმი აიბოლიტი", „ნიშხა-ნიშხა ბარბალუკა" და სხვანი.

თეატრის კოლექტივი, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდი პასუხისმგებლობითა და დატვირთვით მუშაობს. დღეში ოთხი სპექტაკლი — ასეთია ჩვენი სამუშაო დღე. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს კი ვეპატიჟებით საკვირაო წარმოდგენებზე 12 და 2 საათზე.

სპორტის ამბები

ზედიზედ მესამედ!

ქუთაისის „აიას" მორაგბეებმა საბჭოთა კავშირის 1989 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს

მორაგბეთა წლევანდელი ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ჩემპიონი უკვე ცნობილია: ქუთაისის „აიამ" ერთი ტურით ადრე გაინაღდა უმაღლესი ჯილდო. ეს გაირკვა გუშინწინ, როცა ქუთათურებმა საკუთარ მოედანზე ანგარიშით 16:10 დაამარცხეს მოსკოვის „ლოკომოტივი" და მიუწვდომელნი გახდნენ დანარჩენი გუნდებისათვის.

აგერ უკვე მესამე წელია, ქართველი მორაგბეები არავის უთმობენ პირველობას. ნათქვამია, ჩემპიონობის მოპოვება უფრო იოლია, ვიდრე მისი შენარჩუნება. როგორც ჩანს, ეს მოსაზრება ქუთაისელ სპორტსმენებზე არ ვრცელდება. „აიამ" შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, თითქმის მთელი სეზონი ლიდერთა შორის იყო, ფინიშზე კი ყველა კონკურენტი ჩამოიტოვა. ბოლო მატჩში ქუთაისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ტურძელაძე, ფირცხალავა, ლილუაშვილი, ისაკაძე, ნაჭყებია, შვანგირაძე (ფხაკაძე), ოდიშარია, ზ. ლიპარტელიანი, მაღლაკელიძე (ლოსაბერიძე), ნ. ძაგნიძე, ხამაშურიძე, გეგუჩაძე, დეისაძე (ზუევი), ე. ძაგნიძე, ხარშილაძე.

ვულოცავთ ქუთაისელ მორაგბეებს და მათ მწვრთნელებს ამ დიდ გამარჯვებას.

ბოლოსწინა ტურში გამოვლინდნენ აგრეთვე დანარჩენი პრიზიორებიც. ვერცხლის მედლები მიიღეს მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის სპორტსმენებმა, ბრინჯაოსი — კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროის" გუნდმა.

გთავაზობთ სატურნირო ცხრილს:

„აია"	9	8	0	1	25
სსა	9	6	1	2	22
„ექსკავ". კრ.	9	5	0	4	19
„ლოკომ". მ.	9	3	1	5	16

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია — ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 14.20 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე" მეორე სერია. 15.25 — დოკუმენტური ფილმი „1000 წელი და 3 დღე". 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.35 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გედის სიმღერა". 17.05 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.35 — დოკუმენტური ფილმები „ბედის საათი" და „ვარჩიოთ სიცოცხლე". 18.25 — განცხადებები. 18.30 — „ჩვენი სტუმრები" — ტელეინფორმატიკა-89. 19.25 — „ადამიანი და მორალი — „ერთი დანაშაულის კვალდაკვალ". 20.00 — მოამბე. 20.35 — რაც აწვალებდა ცოტნე დადიანს. 21.10 — სტუდია დიალოგი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე" III სერია.

მეორე პროგრამა. 16.05 — ქართული მხატვრული ფილმი „ნინო". 17.25 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 18.10 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 18.55 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უკან დასახევი გზა მოჭრილია". I სერია. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უკან დასახევი გზა მოჭრილია".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — „გუნდი პლუს ჩვენ". 10.20 — მხატვრული ფილმი „და თუ ეს სიყვარულია?". 12.05 — „ცისარტყელა". „ცეცხლის დღესასწაული შნეებერგში" (გდრ). 12.35 — მოგზაურთა კლუბი. 16.35 — ს. რახმანინოვის ოპერა „ალეკო" საკონცერტო შესრულებით. 17.40 — იმპულსი. 18.25 — ბავშვის საათი (ინგლისური ენის გაკვეთილითურთ). 19.25 — სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში. „კრილია სოვეტოვი" — ცსკა. შესვენებისას (20.05) — დღეს მსოფლიოში. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „პოზიცია". სემიპალატინსკის პოლიგონი. ტელეხიდი მოსკოვი — ალმაათა. 23.40 — დღეს მსოფლიოში. 23.55 — „სარსუელის ანთოლოგია" (ესპანეთი). 0.25 — „იები ოთხშაბათობით, ანუ ხელოვნება და ფული". II ნაწილი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მწვანე ჭაობის ბინადარნი". 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. III კლასი. 10.05 და 12.05 — გერმანული ენა. 11.35 და 12.35 — ბიოლოგია. X კლასი. 12.05; 15.00 და 18.00 — ახალი ამბები. 13.05 — ფილმ-კონცერტი „ერმოლაევას ცირკის მსახიობები". 13.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „ყველას თვალწინ". 14.10 — ფილმ-კონცერტი. 16.10 — მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში. 18.15 — ჩოგბურთი. 19.00 — ამერიკელი კონგრესმენები სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნის შესახებ. 20.00 — „ოდოევსკის ალბომი". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მოკავშირე რესპუბლიკათა სტუდიების ფილმები. „ვარვარას დღე". 23.45 — ახალი ამბები. 23.55 — კონკურსი „იურმალა-90".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07211 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14